# ახალი განათლება

7 - 13 აპრილი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№ 14 (728) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge




## გინდა გახდე მასწავლებელი?




## მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა

### აკრედიტებული უნივერსიტეტების სია

შშპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გვერდი 2

CMYK

პროფესიული განვითარება

# გინდა გახდე მასწავლებელი?

ლალი ჯელაძე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მასწავლებლობის მსურველებისთვის ინოვაციური პროექტი წარადგინა. უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგობის მსურველებს სახელმწიფო აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას გაიაროს შესაბამისი პროგრამა და, სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების შემთხვევაში, უფროსი მასწავლებლის სტატუსი მოიპოვოს. პროექტის მიზანი, თავისთავად, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საუკეთესო პედაგოგების მოზიდვაა, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვნად კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრა სახელდება, განსაკუთრებით კი – რეგიონებში.

დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული კვოტების შესაბამისად. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკაცი, რომელიც მის სამასწავლებლო კვალიფიკაციას ადასტურებს და მასწავლებლობის უფლებას აძლევს. სკოლაში მუშაობის დაწყების შემთხვევაში, კურსდამთავრებული უფროსი მასწავლებელი ხდება.

მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან პროგრამაზე რეგისტრაცია უკვე გამოცხადდა და 12 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა, მსურველის მხრიდან, შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარებაა, რომელსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ახორციელებს. საგნის გამოცდის ჩასაბარებლად, მათ ელექტრონულად უნდა გაიარონ რეგისტრაცია ვებგვერდებზე: www.naec.gov.ge და online.naec.ge. პარალელურად, რეგისტრაციის გავლა მოეთხოვებათ საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, 12 აპრილის ჩათვლით (საჭირო დოკუმენტაცია: 1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 2. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი).

**მაია მიმინოშვილი:** *„რეგისტრაციის პროცესი უკვე დაწყებულია და მსურველებს 12 აპრილის ჩათვლით შეუძლიათ გაიარონ. უნდა ეწვიონ ჩვენს ვებგვერდს, დარწმუნებული ვარ, ყველა მსურველმა იცის, რამდენად მარტივია რეგისტრაციის პროცესი – შესავსებია აუცილებელი ველები, უნდა აირჩიო საგანი, რომლის ჩაბარებასაც აპირებ. მათთვის უკვე მზადდება საგამოცდო ტესტი კონკრეტულ საგანში. როგორც იცით, წელს დაემატა საგნობრივი ტესტი ფიზაღზრდის და მუსიკის პედაგოგებისთვის. ასე რომ, მომავალი მასწავლებლობის მსურველები, ბუნებრივია, ანალოგიურ საგნობრივ ტესტს ჩააბარებენ. 12 აპრილს სრულდება რეგისტრაცია და ივლისში მასწავლებლობის მსურველები, სხვა პრაქტიკოს პედაგოგებთან ერთად, მათ მიერ შერჩეულ საგნობრივ გამოცდას ჩააბარებენ.“*

იმისთვის, რომ გახდე მასწავლებელი, აუცილებელი პირობაა უმაღლესი განათლება – მასწავლებლობის უფლების მოპოვება შეუძლიათ ბაკალავრის, მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებსაც მოეთხოვებათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლა.

**თამარ სანიკიძე:** *„დღეს ჩვენ ვაცხადებთ მასწავლებლობის მსურველთათვის სარეგისტრაციო პირობებს, რომელიც უკავშირდება, კანონში განხორციელებული უკანასკნელი ცვლილების შესაბამისად, მასწავლებლის მომზადების პროცესს და პროცედურებს. საუბარია ერთწლიან პროგრამაზე, რომელსაც განახორციელებს უნივერსიტეტი და რომელსაც, გარკვეული კვოტირებების ფარგლებში, დააფინანსებს სახელმწიფო. უფრო დეტალურად, ეს არის პროგრამები, რომლებმაც აკრედიტაცია სულ ახლახან გაიარა – მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა, რომელიც გარდამავალი ეტაპისთვისაა განკუთვნილი. ვიცით, რომ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 2017 წლიდან, უნდა დაიწყოს პედაგოგიური მიმართულების 5-წლიანი პროგრამების ამოქმედება, ხოლო გარდამავალი ეტაპისთვის, სანამ გვეყოლება ასეთი კურსდამთავრებულები, ვისარგებლებთ მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამით. ეს პროგრამა მასწავლებლობის მსურველებს – უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს – 60-კრედიტიანი კურსის გავლის შემდეგ, მასწავლებლობის უფლებას მიანიჭებს და კარიერული სქემით განსაზღვრულ მეორე, ანუ უფროსი მასწავლებლის საფეხურზე მოხვდებიან, სადაც, რა თქმა უნდა, უკეთესი ხელფასი ელოდებათ.*

*ჩვენი მიდგომა ასეთია – მასწავლებელი თავიდანვე კარგად მომზადებული მოვიდეს სისტემაში, რათა ის პრობლემები, რომელიც დღეს გვაქვს, აღმოვფხვრათ და საბოლოო შედეგები გავაუმჯობესოთ.*

*პროგრამები განხოცრიელდება როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონულ უნივერსიტეტებში. რეგიონული უნივერსიტეტების განვითარება ამ კუთხით ჩვენთვის კიდევ უფრო პრიორიტეტულია, რადგან მასწავლებლების დეფიციტი საგნობრივი მიმართულებით უფრო მეტად რეგიონებში, სოფლებში, განსაკუთრებით კი – მაღალმთიან სოფლებში ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, პრიორიტეტი მიენიჭება, რა თქმა უნდა, ამ დაწესებულებებს. თუმცა, თბილისში, ილიასა და და ჯავახიშვილის უნივერსიტეტებში, ფუნქციონირება დაიწყო განათლების სკოლებმა, სადაც პედაგოგები უნდა მოამზადონ.“*

პირველ ეტაპზე, აკრედიტებულია 13 უნივერსიტეტის პროგრამა, რომლებიც მასწავლებლობის მსურველებს ახალი სასწავლო წლიდან მიიღებენ. *„წელს ვიწყებთ იმ რაოდენობის პროგრამებით, რომლებმაც დღემდე გაიარეს აკრედიტაცია, ხოლო შემდეგი აკადემიური წლიდან უკვე ყველა საგნობრივი მიმართულება ჩაერთვება და უფრო ფართო მასშტაბით მივცემთ პედაგოგობის მსურველ ადამიანებს საშუალებას, მიიღონ შესაბამისი განათლება და სერტიფიკატი, რომლის საფუძველზეც, დასაქმდებიან საჯარო სკოლებში.“* – განაცხადა მინისტრმა.

რამდენი მსურველის მიღება იგეგმება წელს და როგორ მოხდება დაფინანსება, ამის შესახებ თამარ სანიკიძემ განაცხადა, რომ გარკვეული ანალიზის ჩატარების შედეგად გამოვლინდა კადრების დეფიციტი, რომლის მიხედვით გაკეთდა პროგნოზი, რა მიმართულებით რამდენი მასწავლებელი დაგვჭირდება. *„გადავწყვიტეთ, რომ წელიწადში, დაახლოებით, 800-დან 1000-მდე მასწავლებლობის მსურველს დააფინანსებს სახელმწიფო. ეს გაიყოფა რეგიონების და უნივერსიტეტების და, რა თქმა უნდა, საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. დაახლოებით, იგივე პრინციპი იმუშავებს, როგორიც უფასო მიმართულებებზე გვაქვს, ხოლო გამოცდის ჩაბარების და შემდეგ უნივერსიტეტში განაწილების კუთხით კი იგივე პრინციპია, როგორიც მაგისტრანტობის მსურველების შემთხვევაშია – აბარებენ ტესტს, შემდეგ კი უნივერსიტეტი, გასაუბრების საფუძველზე, ჩარიცხავს იმ კვოტების ფარგლებში, რაც მათ მიეცემათ. ალბათ, ვივარაუდებთ, რომ, მინიმუმ, 5-აპლიკანტიანი ჯგუფი უნდა დაფინანსდეს. იგივე პრინციპი გვაქვს აღებული უფასო მიმართულებებზეც, ამიტომ ასევე გავაგრძელებთ, რადგან უკვე აპრობირებულია, დანერგილია და კარგადაც მუშაობს. ნებისმიერ მიმართულებაში, უნივერსიტეტი ვერ გასცდება იმ დადგენილ კვოტებს, რომელიც ავტორიზაციითა და აკრედიტაციით მიენიჭა, ხოლო დაფინანსების ან არდაფინანსების კვოტა, როგორც გითხარით, იმ დეფიციტიდან გამომდინარეობს, რომელიც მოვიკვლიეთ და დადავდგინეთ საქართველოს მასშტაბით.“*

პროგრამის დასრულების შემდეგ მასწავლებლობის მსურველს ეძლევა სერტიფიკატი, რომლის საფუძველზეც, ის შეიძლება გახდეს მასწავლებელი. რაც მთავარია, ამაში სახელმწიფო გარკვეულ ინვესტიციას დებს და ამზადებს მომავალ კვალიფიციურ კადრს იმის მიხედვით, რამდენიც სჭირდება. ეს კი, გარკვეულწილად, გარანტირებული დასაქმების საწინდარიც უნდა გახდეს. საინტერესოა, როგორი იქნება მათი დასაქმების პერსპექტივა? მოხდება თუ არა კვალიფიციური კადრების სისტემაში შეყვანა ან ვის ხარჯზე? ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი პასუხობს: *„ძალიან გვინდა, რომ მათი რაოდენობა გაიზარდოს, რადგან თუკი წინასწარი პროგნოზის მიხედვით, ჩვენ სამ (ან რამდენიმე) წელიწადში ველოდებით მაწავლებლების, თუნდაც ასაკის გამო, სისტემიდან გადინებას, ამ პროცესს აუცილებლად კადრების შესაბამისი რაოდენობა დავახვედროთ. სწორედ ამიტომაა გარდამავალი ეტაპისთვის ერთწლიანი პროგრამები საუკეთესო გამოსავალი. ეს არ არის გადამზადების და მომზადების მოკლე კურსი, საფუძვლიანი კურსია, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლობის მსურველის სათანადოდ მომზადებას, თან მას წინასწარ დადასტურებული ექნება საგნობრივი კომპეტენცია.*

*დაახლოებით, 2000 სერტიფიცირებული მასწავლებლიდან, რომელიც სისტემის გარეთაა დარჩენილი, უმეტესობა დასაქმდა, 400-მდეა დასასაქმებელი.“*

როგორი იქნება მასწავლებლობის მსურველის საგამოცდო ტესტი და იქნება თუ არა განსხვავება საგნის გამოცდის ტესტებსა და 60-კრედიტიან პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა ტესტებს შორის? როგორც პრესკონფერენციაზე განმარტეს, ტესტებს შორის სხვაობა არ არის. მას, ვისაც უკვე დადასტურებული აქვს საგნის კომპეტენცია, შეუძლია პირდაპირ, გამოცდის ჩაბარების გარეშე, დარეგისტრირდეს პროგრამაზე. საგნის გამოცდის ორჯერ ჩაბარებას მათ არავინ სთხოვს, ხოლო თუკი მოქმედ მასწავლებლებს, გაუჩნდებათ 60-კრედიტიანი პროგრამის გავლის სურვილი, მათ სახელწიფო არ დააფინანსებს, რადგან პროგრამა, მასწავლებლობის მსურველებისთვისაა განკუთვნილი. *„მოქმედ მასწავლებელს სქემით გათვალისწინებულ აქტივობებს და ტრენინგმოდულებს ვთავაზობთ, თუმცა, თუკი ექნებათ სურვილი, რასაკვირველია, შეზღუდული არავინაა. შეუძლიათ გაიარონ პროგრამა, მაგრამ დაფინანსება მათ არ შეეხება, რადგან სახელმწიფოს მიზანია ამ პროგრამით ახალი კადრების მომზადება. არსებული კადრის გადამზადებას კი სხვა დაფინანსება, მოდულები და დანიშნულება აქვს.*

*კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს არის გარდამავალი ეტაპი, ვიდრე 300-კრედიტიანი, 5-წლიანი პროგრამებდამთავრებული გვეყოლება.“*

პროგრამის მიზანი, თავისთავად, იკვეთება – უკეთ მომზადებული ახალი კადრების მომზადება, რასაც მინისტრიც ადასტურებს: *„ჩვენ გვჭირდება უკეთესად მომზადებული მასწავლებლობის მსურველები, ვიდრე დღეს გვყავს“* და მათი მოტივაციის ასამაღლებელ პირობად პირდაპირ უფროსი მაწავლებლის საფეხურზე შეყვანას ასახელებს, სადაც უკეთესი ხელფასი ელოდებათ. დაახლოებით, იმავეს სთავაზობენ (უფრო გამარტივებული სახით) პრაქტიკოს მასწავლებლებს – სანაცვლოდ კი, მათ მხოლოდ საგნის კომპეტენციის დადასტურება მოეთხოვებათ.

და მაინც რატომ უნდა დაინტერესდეს ახალგაზრდა ამ პროგრამით, ანუ რატომ უნდა გახდეს მასწავლებელი მაშინ, როცა ეს პროფესია ჩვენს ქვეყანაში არაპრესტიჟულია? განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: *„ისე, როგორც ბევრ პროფესიას საქართველოში, მასწავლებლის პროფესიასაც, გარკვეული პრესტიჟის ამაღლება და ხელშეწყობა სჭირდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ხელფასი მოტივაცია არ არის, უფრო მეტად ეს დასაქმების სწრაფი გზაა. პრაქტიკულად, ერთ წელიწადში მასწავლებლობის მსურველს საშუალება ეძლევა, დასაქმდეს ისეთ სამსახურში, სადაც საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასზე უფრო მაღალი ანაზღაურება და კარიერული განვითარების ძალიან დიდი პერსპექტივაა. ვფიქრობ, მასწავლებლობის მსურველისთვის სქემაში ჩართვა, ყველაფერთან ერთად, საინტერესოც იქნება.“*

60-კრედიტიან პროგრამაზე სწავლა სექტემბრიდან დაიწყება ისევე, როგორც დანარჩენ უმაღლეს პროგრამებზე, ხოლო რაც შეეხება პროგრამის ღირებულებას წელიწადში, დაახლოებით, 2000 ლარია, უფრო დაზუსტებული ინფორმაცია კი დაფინასების, კვოტებისა თუ სხვა დეტალების შესახებ გამოქვეყნდება როგორც განათლებისა და მეცნიერების, ისე გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე.



პროფესიული განვითარება

# 330 მასწავლებელს უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უფროსი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები მასწავლებლებს საზეიმოდ გადასცა მათთვის საგანგებოდ გამართულ შეხვედრაზე სამინისტროში.

სქემის ფარგლებში, გარდამავალი დებულებით, განსაზღვრულია ყველა იმ მასწავლებლის კარიერაში დაწინაურება, რომელთაც პროფესიული უნარების ტესტი ჩაბარებული ჰქონდათ. სქემის ამოქმედების შემდეგ, ვინც წარმატებით ჩააბარა საგნის გამოცდა, გაუთანაბრდნენ სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსს და სქემაში განაწილების ეტაპზე, უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ, ასეთი 330 პრაქტიკოსი მასწავლებელი აღმოჩნდა. ამის გამო, საფეხურების მიხედვით გადანაწილებული მასწავლებლების სურათიც, ბუნებრივია, შეიცვალა და დღევანდელი მონაცემებით, ქვეყანაში, უკვე 16 339 უფროსი მასწავლებელია. გარდა ამისა, სქემაში განაწილებულ 6200 პრაქტიკოს მასწავლებელს ჩაბარებული აქვს პროფესიული უნარების გამოცდა და საგნის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, ისინი უფროსი მასწავლებლები გახდებიან.

*„თქვენ ხართ იმის დამადასტურებელი, რომ საგნის გამოცდის ჩაბარება პრობლემა არ არის.“* – მიმართა **ლია გიგაურმა** შეხვედრაზე მოწვეულ პედაგოგებს და განმარტა: *„იმას, რომ პედაგოგთა არც თუ მცირე რაოდენობას გამოცდაზე გარკვეული სირთულე შეექმნა, ობიექტური გარემოებები ჰქონდა – ძალიან კარგად ვიცით, რომ უმრავლესობა მესამე სერტიფიკატის აღებას ცდილობდა და იმ საგანს აბარებდა, რომელსაც არ ასწავლის, თუმცა სასიხარულოა, რომ ამ მასწავლებლებმა სცადეს გამოცდის ჩაბარება. ჩვენ დავანგრიეთ მითი, რომ მასწავლებლის გარდა ყველა სხვა პროფესიის ადამიანი წარმატებულია – თქვენ ხართ ამ წარმატების სიმბოლოები“.*

**თამარ სანიკიძეს** მასწავლებელთა შემდგომ საფეხურზე გადასვლა, ამ დროისთვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რადგან სქემა საპილოტე რეჟიმში მუშაობს და სულ ერთი სემესტრია, რაც სქემით განსაზღვრული აქტივობები ამოქმედდა. *„მასწავლებლებმა ამ პროცესშიც კი მოახერხეს აქტიურობა და მათ არა მხოლოდ დაძლიეს ამოცანები, არამედ უკვე წინ გადაინაცვლეს, იქ, სადაც, ამჟამად, 40-პროცენტიანი სახელფასო მატება მიიღეს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 1 აპრილიდან მათ კიდევ 50 ლარით ეზრდებათ საბაზო ხელფასი, საკმაოდ კარგ სურათს გვაძლევს – საშუალო ხელფასი 500-600 ლარამდე ავა. ეს კი ბევრად უკეთესი სურათია, ვიდრე გვქონდა, თუნდაც ორი წლის წინ. მინდა პედაგოგებს მივულოცო წარმატება და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ძალიან კარგია, რომ საპილოტე რეჟიმშიც კი მოახერხეს და კოლეგებს დაანახეს შედეგები, რაც მათთვის მოტივაცია უნდა გახდეს – ეს იმას ნიშნავს, რომ სქემა რეალურად ამუშავდა და არის შესაძლებლობა, წინ წავიწიოთ და განვვითარდეთ. ძალიან მიხარია, რომ სახელმწიფოსგან სერიოზული მხარდაჭერა გვაქვს. ამიტომ, ვფიქრობ, კიდევ უფრო წინ წასვლა არ გაგვიჭირდება.“*

მინისტრის აზრით, რაც შეიძლება მეტი გახმოვანება სჭირდება მასწავლებლების ამ წარმატებას, მათ კარიერულ წინსვლას, რადგანაც მათ დღეს ძალიან სჭირდებათ მოტივაციის გაჩენა, მით უფრო, გამოცდების შედეგების გახმაურების შემდეგ, ოპონენტებისა და ექსპერტების დიდი „ხმაურის“ გამო, რამაც პედაგოგებში კიდევ უფრო გაამძაფრა დემოტივაცია. *„მინდა გითხრათ, რომ ეს ნამდვილად არ იყო ტრაგედია. პირველ ჯერზე, არც მოველოდით რომ მასწავლებლები განსაკუთრებულ შედეგებს გვიჩვენებდნენ, ძალიან მარტივი მიზეზის გამო – წინა პერიოდისგან განსხვავებით, პედაგოგები დღეს მხოლოდ იმით არ არიან დაკავებული, რომ ტესტის ჩასაბარებლად იმეცადინონ. მასწავლებელი დღეს ძალიან ბევრ მნიშვნელოვან აქტივობაშია ჩართული. მაგალითად, როგორიც არის სასკოლო შეფასებისთვის მზადება, ფასილიტატორის გადამზადება, თვითშეფასების კითხვარი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია. აი, აქედან უნდა დავიწყოთ ყველაფერი და სატესტო რეჟიმიდან გადავიდეთ თვითშეფასებასა და სასკოლო შეფასებაზე, რომელიც, საბოლოო ჯამში, იქნება წამყვანი, რადგანაც არც ერთ სხვა ეტაპზე, მომავალი სამი-ოთხი წლის შემდეგ, ტესტირების რეჟიმი აღარ განიხილება. სკოლამ უნდა შეძლოს და სამი წლის განმავლობაში ისე დადგეს ფეხზე, რომ თვითონ მოახერხოს სწორი შეფასებისა და მე შეფასებაზე დაყრდნობით – გადაწყვეტილების მიღება.“*

დაჯილდოებამდე მინისტრმა მასწავლებლებს მოუწოდა, გამოეთქვათ აზრი სქემის შესახებ, მათ შორის კრიტიკულიც, თუკი ასეთი მოსაზრება ექნებოდათ. მათ შენიშვნებს სამინისტრო მიიღებს და გაითვალისწინებს კიდეც საპილოტე წლის დასრულების შემდეგ: *„საპილოტე წელი ნელ-ნელა იწურება და ჩვენ მოგვიწევს, შემდეგი აკადემიური წლიდან, უფრო მიზანმიმართულად ჩავერთოთ ყველა აქტივობაში, ამიტომ უკეთესად უნდა ვიყოთ მომზადებულები. თუმცა, საპილოტე წლის დასრულება არ ნიშნავს იმას, რომ თუკი რაიმე იქნება შესაცვლელი, არ შევცვლით. ამის საშუალებას თვითონ ინსტრუმენტი – სქემა იძლევა და ჩვენგანაც არის მზაობა. ამიტომ, გამოთქვით თქვენი აზრი და ჩვენ მზად ვართ, მოგისმინოთ“.*

ბევრმა მასწავლებელმა გამოთქვა დარბაზში სიტყვით გამოსვლის სურვილი, თუმცა არც ერთს კრიტიკული აზრი სქემის შესახებ არ ჰქონია.

**მაია ნოზაძე**, 123-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„ჩავაბარე გამოცდა და, მოქმედი სქემის ფარგლებში, გავხდი უფროსი პედაგოგი. მიმაჩნია, რომ პედაგოგი ყოველთვის უნდა ზრუნავდეს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მუდმივად უნდა ვეძებოთ სიახლეები და ამ სიახლეების ფარგლებში კრეატიული შემოქმედებით გავამრავალფეროვნოთ გაკვეთილები და სასწავლო პროცესი, რაც შემდეგ, თავისთავად, მოსწავლეთა შედეგებზე აისახება. იმისთვის, რომ სქემაში არსებული მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ და წარმატებული პედაგოგები ვიყოთ, აუცილებელია სკოლაში კათედრების სათანადო მუშაობა. ჩვენს სკოლაში კათედრების საშუალებით ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას და კოლეგები ერთმანეთის გაკვეთილებს ვესწრებით, შემდეგ განვიხილავთ და, სუსტი მხარეების აღმოჩენის შემთხვევაში, აღმოფხვრაზე ვმუშაობთ. საბოლოო ჯამში კი, მივდივართ წარმატებისკენ, რასაც, თავისთავად, მივყავართ ხელფასის ზრდისკენ“.*

**ფიქრია გოდერძიშვილი**, 190-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„გამოცდა საკუთარი თავის შეფასება, კონტროლია და არა მასწავლებლის შეფასების ერთადერთი მექანიზმი. მომწონს გარე დაკვირვების რუბრიკა – ვიდეოგაკვეთილით მასწავლებლის შეფასება. გარდა იმისა, რომ საკუთარ თავთან სერიოზული მუშაობა მოგვიწევს, აუცილებლად პროფესიულად უნდა შევხედოთ ჩვენ მიერ ჩატარებულ გაკვეთილს. საშუალება მოგვეცემა, ხელმისაწვდომად და ერთგვარ რესურსად ვაქციოთ ვიდეოგაკვეთილები. ეს ერთგვარი გამოცდილების გაზიარება იქნება ერთმანეთისთვის. გამორჩეული მასწავლებლების გამოცდილება ძალიან სასიკეთოდ შეიძლება გამოვიყენოთ.*

*რაც შეეხება გამოცდას, ვიტყვი, რომ ეს გამოცდაცაა და, იმავდროულად, კარიერული წინსვლაც, წახალისებაც და მოტივაციაც. გამოცდის ჩაბარებაში მასწავლებელთა სახლის მიერ ჩატარებულმა ტრენინგებმა შემიწყო ხელი, მართლა ძალიან საინტერესო ახალი მეთოდები იყო მოწოდებული, რომელიც მხოლოდ გამოცდაზე კი არ გამომადგა, პრაქტიკაშიც მეხმარება.“*

**თეა ღვინჯილია**, 51-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„გამოცდა წელს ჩავაბარე. მართალია, მეორედ დამჭირდა გასვლა, მაგრამ, ვფიქრობ, მასწავლებლისთვის ეს სულაც არ არის დამამცირებელი. დაწყებითი კლასის მასწავლებლის გამოცდა არ არის იოლი, რადგან კომპლექსურია – ქართული, მათემატიკა, ბუნება – მაგრამ შეუძლებელი, პრინციპში, არაფერია.*

*რაც შეეხება სქემას, მასწავლებლისთვის აუცილებელია პროფესიული ზრდა როგორც საკუთარი, ისე მოსწავლის წარმატებისთვის.“*

შეხვედრაზე გამომსვლელი მასწავლებლების გარდა, გავესაუბრეთ დარბაზში მყოფ პედაგოგებსაც და არც მათ შორის აღმონჩდა ის, ვისაც რაიმე შენიშვნა აქვს სქემის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მეტიც, მათი უმეტესობა მზად არის, არა მხოლოდ სტატუსის შესანარჩუნებელი, არამედ შემდეგ საფეხურზე გადასასვლელი აქტივობების განსახორციელებლად.

**თემურ სუყაშვილი**, მარნეულის №2 საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„მესამე წელია, რაც სკოლაში ვასწავლი, თუმცა განათლებით იურისტი ვარ. რამდენიმე წლის წინ მონაწილეობა მივიღე პროექტის „ქართული როგორც მეორე ენა“ კონკურსში და გავიმარჯვე. დავიწყე მუშაობა და მივხვდი, რომ სკოლაში ჩემი ადგილი ვიპოვე. ხშირად ჩემი მეგობრებიც კი მეკითხებიან, რატომ დავრჩი სკოლაში? მათაც ვპასუხობ და თქვენც იმავეს გაგიმეორებთ, რომ მომწონს, როცა მომავალი თაობის აღზრდაში მცირე წვლილი შემაქვს. სკოლა ამისთვის საუკეთესო ასპარეზია – მოსწავლეებს პიროვნებად ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ვეხმარები და ეს ძალიან მხიბლავს. თუმცა, გეტყვით იმასაც, რომ ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა, მეტიც – ფაქიზი და საფრთხილო, რადგან შენგან ერთი არასწორად გადადგმული ნაბიჯი ძალიან ბევრ რამეს განაპირობებს, არაპროფესიონალიზმი კი დამღუპველია. სიმართლე გითხრათ, პასუხისმგებლობის განცდის მაღალმა ხარისხმა განაპირობა ჩემი მასწავლებლად დარჩენა – პასუხისმგებლობამ მოტივაცია აამაღლა.*

*ქართულის გარდა, ვარ სამოქალაქო განათლების სერტიფიცირებული მასწავლებელი. თუმცა, სამოქალაქო განათლებას, ჯერჯერობით, ვერ ვასწავლი, რადგან სკოლაში ქართულენოვანი კონტინგენტი არ გვყავს. უფროსი მასწავლებლის სტატუსი ქართულის საგნის კომპეტენციის დადასტურებამ მომიტანა. გამოცდა პირველივე ჯერზე ჩავაბარე. ვერ გეტყვით, რომ იოლი იყო, თან, როგორც გითხარით, ჩემს პროფესიასთან საკმაოდ შორს ვარ, მაგრამ სამი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ საქმეს სერიოზულად მოვკიდებოდი. ბევრი ვიშრომე, ვიმეცადინე კიდევაც, ტრენინგები გავიარე და, როგორც ხედავთ, გამოცდა ჩავაბარე, დაუძლეველი არაფერია. არაქართულენოვან სკოლაში ვასწავლი ქართულს, მოვიპოვე უფროსი მასწავლებლის სტატუსი, მაგრამ აუცილებლად მინდა გითხრათ, რომ ამას განათლების სამინისტროს მხარდაჭერის გარეშე ვერ შევძლებდი. პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ტრენინგები გავიარე და დღეს უფროსი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელ სერტიფიკატს მივიღებ“.*

**პელაგია დავითაშვილი**, კასპის რაიონის სოფელ მეტეხის №2 საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„წელს დავადასტურე საგნის კომპეტენცია ხელოვნებაში. სულ ოთხ გამოცდაზე გავედი – ჩაბარებული მაქვს უნარების გამოცდა და ხელოვნების საგანი, ორ გამოცდაში – მათემატიკა და ქიმია – მიზერული ქულები დამაკლდა ბარიერის გადასალახად. აუცილებლად კიდევ ვცდი ბედს. უფროსი მასწავლებლის სტატუსი ხელოვნების გამოცდით მოვიპოვე, რთული და შეუძლებელი არ არის, მაგრამ ბევრი შრომა კი სჭირდება. გასული წლის დეკემბერში, მასწავლებელთა სახლში, 24-საათიანი ტრენინგი გავიარე, რომელმაც მართლაც ძალიან ბევრი რამ მომცა. სასურველია, მსგავსი ტრენინგები სხვა საგნებშიც ჩატარდეს.*

*უკვე 60 წლის ვარ და ამ პოზიციაზე გაჩერებას მაინც არ ვაპირებ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პროფესია საკმაოდ შრომატევადია და სერიოზული აქტივობების განხორციელება გვიწევს, მაინც ვაპირებ ვიზრუნო როგორც სტატუსის შენარჩუნებაზე, ისე წინსვლაზე. მოტივაცია გამოცდის ჩაბარებამ კიდევ უფრო გამიზარდა – სტატუსის ზრდასთან ერთად, ჩემი ხელფასიც იზრდება“.*

**ეთერ ქოქაშვილი**, ნატახტრის სკოლის მასწავლებელი: *„დაწყებითი საფეხურის მათემატიკა ჩავაბარე და მინდა ჩემს კოლეგებს ვუთხრა, ვისაც ჯერ კიდევ წინ აქვთ გამოცდა – მითია, თითქოს ტესტი ურთულესია. ყველაფერი დაძლევადია და ნუ შეშინდებით, ნურც იმაზე იფიქრებთ, რომ გამოცდაზე ერთხელ ან ორჯერ ჩაჭრა დაგაკნინებთ. “*

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორმა **გიორგი მაჩაბელმა** პედაგოგებს კარიერული წინსვლა მიულოცა და სთხოვა მათ: *„ხმა მიაწვდინეთ კოლეგებს, ნურაფრის შეეშინდებათ. ვისაც რა უნდა, ის თქვას გამოცდებთან დაკავშირებით, არავინ არ გითვლით, ვინ რამდენჯერ გამოხვალთ და როგორ ჩააბარებთ. წინა რეზულტატები არ ჩაითვლება, ეს არ არის სადამსჯელო მექანიზმი. ჩვენ, მხოლოდ და მხოლოდ, გვაინტერესებს და ვამოწმებთ პედაგოგების ცოდნას იმ საგანში, რომელსაც სკოლაში ასწავლიან და მერამდენე გასვლაზე ჩააბარებს მასწავლებელი გამოცდას, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, დაადასტუროთ საგნობრივი კომპეტენცია და შემდეგ ჩვენც, თქვენთან ერთად, დავიწყებთ კარიერულ საფეხურებზე ძალიან სკრუპულოზურ სვლას – მოგამზადებთ ყველა მიმართულებით, რაც კი დაგჭირდებათ. გარწმუნებთ, ამ წლების განმავლობაში, სანამ სკოლაში არ შეიქმნება ისეთი მექანიზმი, რომ პროფესიული განვითარება მის ბაზაზე განხორციელდება, თქვენ გვერდით ვიქნებით“.*

შეგახსენებთ, რომ მასწავლებელთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვა მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი წელი საპილოტედ განისაზღვრა და ჯერ მხოლოდ ერთი სემესტრი დასრულდა, 330-მა პრაქტიკოსმა მასწავლებელმა წარმატებით გადალახა საგნობრივი გამოცდის ბარიერი და უფროსი მასწავლებლის სტატუსი მოიპოვა. პედაგოგთა პროფესიული განვითარების გზა კი პირდაპირ ბმაშია შრომით ანაზღაურებასთან, რაც ყველაზე მეტად ზრდის მათ მოტივაციას.

ლალი ჯელაძე







აქტუალური თემა

# ფორმალური ქმედებებით შემოფარგლული აქტივობები

*დღეს საზოგადოება აქტიურად განიხილავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემას. აქტივობებში ჩართული პედაგოგების ნაწილს სქემა მოსწონს, ნაწილი კრიტიკულად აფასებს.*

*არანაკლებ აქტუალურად წარიმართა მასწავლებელთა საგნობრივი გამოცდების შედეგების განხილვა. საზოგადოება აქაც ორად გაიყო: ისინი, ვინც ყველაფერში პედაგოგებს ადანაშაულებენ და ისინი ვინც წარუმატებლობის მიზეზს განათლების სამინისტროს ფორმალურ ქმედებებში ხედავს.*

*ამ საკითხებზე გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო ალიანსის“ თანათავმჯდომარე მარიამ რამინაშვილი*



**– როგორ აფასებთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემას. იძლევა თუ არა ის სისტემის გაჯანსაღების საშუალებას? რას აკეთებს სახელმწიფო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის?**

– სამინისტროს მხრიდან განხორციელებული პროექტების უმრავლესობა მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენს სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის განკუთვნილ აქტივობებს და, ძირითადად, სამინისტროს პიარ-კამპანიას ემსახურება. პროცესის გაუაზრებელ და უპასიხისმგებლო ქმედებებზე არაერთი არგუმენტი შეიძლება მოვიყვანო. თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილ პედაგოგს შეუძლია, რომელსაც სახელმწიფომ უნდა მისცეს მოტივაცია, სრულად იყოს ჩაბმული პროცესში. თუმცა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის ის სქემა, რაც სამინისტრომ შესთავაზა პედაგოგებს, სრულად სცდება იმ რაციონალურ შესაძლებლობებს, რაც დღესდღეობით სჭირდება ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებულ აქტივობებს. ეს მხოლოდ მასწავლებელთა გაჩუმების მცდელობაა, რომ სქემით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, პრეტენზიები არ გაუჩნდეთ ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით. თუ ვინმე კონტრარგუმენტად მასწავლებელთა ხელფასის დაგეგმილ მატებაზე გააკეთებს აქცენტს, ძალიან მნიშვნელოვანია ცვლილებებს ჩახედოს და შედარების შემდგომ გამოიტანოს დასკვნა, მოემატათ თუ დააკლდათ ხელფასი მასწავლებლებს. ხარვეზებს შორის აუცილებლად აღსანიშნავია სქემით განსაზღვრულ აქტივობებზე ყურადღების გამახვილება. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მათგანი არაა ინდიკატორი, რომელიც სისტემის რეალურ შეფასებას მოგვცემს, რომ არაფერი ვთქვათ მათ რაოდენობასა და შემფასებლის კომპეტენციაზე. შეუძლებელია, ერთსა და იმავე დროს, სკოლის მასწავლებელი იყოს პრაქტიკოსის სტატუსის მატარებელი და ამავდროულად, უწევდეს ამავე სკოლაში უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირის შეფასების განხორციელება. ამ ვარიანტს შემოთავაზებული სქემა შესაძლებლად მიიჩნევს. ამას თუ დავუმატებთ, რომ წლის განმავლობაში ასეთი შემოწმების რაოდენობა ერთ პედაგოგზე, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს მხოლოდ ორი, საერთოდ საუბარი არ შეიძლება იმაზე, რომ ასეთმა მონიტორინგმა მოგვცეს სრულყოფილი სურათი პედაგოგების შესახებ ან შესაძლებლობა, გამოვიყენოთ ხარისხის გასაუმჯობესებლად.

რეალურად რა აქვს დღეს პედაგოგს? ერთი – სამინისტროს მიერ შემოთავაზებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომელიც ყველა მასწავლებელმა იცის და პირად საუბრებში თავად ამ სქემის შემქმნელებიც არ მალავენ, რომ განუხორციელებელია და მისი ერთადერთი ფუნქცია მასწავლებლის შეჩერებაა, პროტესტი არ გამოთქვას ხელფასის არმომატების გამო და მეორე – პედაგოგის მხრიდან დამოუკიდებელი ზრუნვა საინტერესო საგაკვეთილო პროცესის წარმართვისა და განათლების ხარისხის ამაღლებისთვის. სამინისტროს, ამ მიმართულებით, არ გააჩნია ერთიანი სისტემური და პრაქტიკაზე ორიენტებული ხედვა.

**– 5-კრედიტიანი კურსის გავლა პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად სავალდებულო აქტივობაა პროფესიულ უნარებში ტრენინგ-კურსის გავლა. რამდენად ეფექტურია მსგავსი ტრენინგები პედაგოგებისთვის?**

– სასერტიფიკაციო გამოცდების პროფესიული უნარების ნაწილი, ახალ სქემაში, ჩანაცვლდა პრაქტიკული აქტივობებისაგან შეგროვებული კრედიტქულებით, რომელთა შორისაა სავალდებულო აქტივობები, კერძოდ, 5-კრედიტიანი კურსის გავლაც. კურსი განკუთვნილია მოქმედი, პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საგნის გამოცდა. კურსის პირველი ნაწილი ორიენტირებულია პროფესიული უნარების გაღრმავებაზე და შედგება ორი მოდულისგან: თანამედროვე მიდგომები სწავლებასა და შეფასებაში და, მეორე, ინკლუზიური განათლება. აღნიშნული თემატიკა ერთ-ერთი აუცილებელი და უწყვეტი ნაწილია საგაკვეთილო პროცესის წარმართვისთვის, შესაბამისად, სამწლიან პერიოდში, რაც სტატუსის შეცვლისთვის დასაშვები პერიოდია, რა თქმა უნდა, ფორმალური აქტივობის შთაბეჭდილებას ტოვებს მისი ერთჯერადი გავლის სავალდებულოობა. აქვე, აუცილებლად ყურადღება მისაქცევია, როგორ მოხდება გავლილი ტრენინგმოდულის ჩათვლა პედაგოგისთვის. თუ ის მხოლოდ დასწრების კრიტერიუმით შემოიფარგლება, აუცილებლად უსარგებლო გახდება და პედაგოგებისგან დროის და სახელმწიფოსაგან თანხის ხარჯვის მეტს არაფერს დატოვებს. თუ პედაგოგს მოუწევს გამოცდის ჩაბარება, ამ შემთხვევაში, გაუგებარია, რა შეცვალა სახელმწიფომ, მით უმეტეს საუბარი აღარაა გამარტივებაზე – ერთი პროფესიული უნარების გამოცდის ნაცვლად, პედაგოგს, სტატუსის შესაცვლელად, დარჩა გამოცდა და დაემატა კიდევ ბევრი უსარგებლო აქტივობის განხორციელება, რაც ნიშნავს, რომ პროცესი გართულდა და, რაც ისევ უნდა აღვნიშნო, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების შედეგსა და პროფესიულ განვითარებაზე გავლენის მოხდენის გარეშე. მაშასადამე, სქემით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა არის აქტივობა აქტივობისთვის, დროებითი ფორმალური ქმედება, რომელსაც არც სკოლასთან, არც სწავლის ხარისხთან და არც პედაგოგთა პროფესიულ განვითარებასთან არაფერი აქვს საერთო.

**– პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა მასწავლებელთა პრაქტიკის შეფასება, ე.წ. „გარე დაკვირვება“. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ აქტივობის მიმართ?**

– გარე დაკვირვება არის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში, ერთხელ ჩატარებული საკლასო დაკვირვება. მონიტორი აკვირდება უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და აფასებს მას შეფასების რუბრიკის მიხედვით. ეს აქტივობა სავალდებულოა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. რომ არაფერი ვთქვა თვითონ შეფასების ორგანიზებასა და, ქვეყნის მასშტაბით, ტექნიკურად, ამ აქტივობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, თავისთავად აქტივობა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ აფასებს ადამიანს და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის სტატუსის მომატების ან შემცირების შესახებ, ნათელია, რომ არის უსარგებლო, ფორმალური და გამოუსადეგარი.

**– როგორც ვიცით, ახალ სქემაზეა მიბმული სახელფასო პოლიტიკაც. განათლების სამინისტროში ხელფასების განაწილების ახალ მეთოდს მაქსიმალურად ობიექტურს უწოდებენ. რეალურად, დაეხმარება თუ არა ანაზღაურების ეს მოდელი მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებას და მათ პროფესიულ ზრდას?**

– დღეს საქართველოს ჰყავს 60 500-მდე პედაგოგი, აქედან: 15000-მდე – უფროსი მასწავლებლის სტატუსით, 151 – წამყვანი მასწავლებლის სტატუსით და 45 400-მდე – პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით. საბაზო ხელფასი აპრილიდან გახდა 405 ლარი. უფროს მასწავლებელს დაემატა ხელზე ასაღები 144 ლარი. წამყვან მასწავლებელს, დამატებით – 270 ლარი (ხელზე ასაღები 216 ლარი). 2012 წელს საქართველოს ჰყავდა 67 152 პედაგოგი, აქედან, სერტიფიცირებული – 15 000-მდე, მათ შორის 200-ლარიანი და 1000-ლარიანი. საბაზო ხელფასი იყო 305 ლარი. სერტიფიცირებული მასწავლებელი, დამატებით, იღებდა 75 ლარს (ხელზე ასაღები 60 ლარი).

ხელფასის დაანგარიშების ახალი წესის მიხედვით, პედაგოგებს არ შეუნარჩუნდათ სერტიფიცირების დანამატი, მაშასადამე, 60 ლარს მაშინდელი სერტიფიცირებული და დღევანდელი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე ისედაც იღებდა და დასახელებული 144-ლარიანი მატება კი არ განხორციელდა, არამედ 15 000-მდე პედაგოგს მოემატა მხოლოდ 84 ლარი. რაც შეეხება უფრო სოლიდურ მატებას – წამყვან მასწავლებელსაც, რომელიც საქართველოს მასშტაბით 151-ია, ჩამოერთვა აქამდე არსებული 60-ლარიანი სასერტიფიკაციო დანამატი, მაშასადამე, რეალურად მოემატათ 156 ლარი. ე.ი. პედაგოგების დასახელებული სახელფასო მატება, 2012 წელთან მიმართებაში, ასე გამოიყურება: 45 400-მდე მასწავლებელს – 80 ლარი; 15 000-მდე პედაგოგს – 84 ლარი; 151 პედაგოგს – 156 ლარი. ახლა აუცილებელია (რადგან 2012 წელთან მიმართებაში ითვლის მთავრობა), ეს ხელფასები გამოვიანგარიშოთ დოლარის 2012 და 2016 წლის კურსით, ხელფასის მსყიდველუნარიანობის დასადგენად. 2012 წელს 305 ლარი იყო 183 დოლარი; 2016 წელს 405 ლარი არის 173 დოლარი. მაშასადამე, საბაზო ხელფასი არათუ გაიზარდა, შემცირდა. დაბოლოს, მინისტრის მიერ დასახელებული, 2012 წლამდე არსებული, საშუალო ხელფასი – 326 ლარი იმ პერიოდისთვის 198 დოლარის ეკვივალენტი იყო, დღეს კი, 45 500-მდე პედაგოგის (იგულისხმება პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგები) რეალური ანაზღაურება, 434 ლარი, 184 დოლარის ეკვივალენტია. შესაბამისად, ადვილი მისახვედრია, არის თუ არა დაანონსებული მატება რეალურად პედაგოგთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. რაც შეეხება იმას, აღნიშნული სახელფასო მატების მოდელი ატარებს თუ არა მოტივატორის ფუნქციას, მარტივი პასუხი არსებობს – პედაგოგთა არსებული სახელფასო პოლიტიკა არათუ მოტივაციის გასაუმჯობესებლად არ გამოდგება, ის მათი ელემენტარული სოციალური მდგომარეობის მოწესრიგებასაც კი ვერ უზრუნველყოფს.

**– „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის“ ფარგლებში „ტრენერთა სკოლა“ უკვე ამოქმედდა, რომელიც კვალიფიციური, სერტიფიცირებული ტრენერების მომზადებასა და გადამზადებას უზრუნველყოფს. როგორ ფიქრობთ, რატომ შეირჩა STEM პროფესიები და რატომ ჩაიდო საქართველოში ამ დარგების განვითარებაში საკმაოდ დიდი ინვესტიცია? რამდენად ეფექტურია მსგავსი ტრენინგები პედაგოგებისთვის?**

– კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, მთავრობას არ გააჩნია განათლების სისტემის განვითარების ერთიანი ეფექტური სტრატეგია. მისი აქტივობები მხოლოდ ფორმალური ქმედებებითაა შემოფარგლული და, შესაბამისად, ასე გაგრძელება სრულად გაანადგურებს იმ მიღწევებსაც კი, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში ძალიან ბევრი ადამიანის დაუღალავი შრომით იქნა მიღწეული. აშშ-ს „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან“ (Millennium Challenge Corporation- MCC) თანამშრომლობის მეორე კომპაქტის (გრანტის) ფარგლებში, საქართველოს განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობისათვის 140 მილიონი აშშ დოლარი გამოიყო. მეორე კომპაქტის რატიფიცირებამდე, 2011-12 წლებში, არაერთი წინასწარი სამუშაო განხორციელდა, რომლის შედეგიცაა ამ პროექტის ამუშავება. თუმცა, არსებულ სიტუაციაში, ვფიქრობ, თვალნათლივი შედეგების მიღწევა შეუძლებელი გახდება, სწორედ იმიტომ, რომ ეფეტურობის გარანტი პროცესის წარმართვის სისტემურობა და ადეკვატურობაა და არა ქაოტური, არარეალური შედეგების მიღწევისათვის ახირებული სწრაფვა. რატომ შეირჩა STEM პროფესიები? მიზეზი ერთადერთია – ამ მიმართულებით ქვეყანაში გვაქვს პროფესიონალი კადრების დეფიციტი. განსაკუთრებით ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) სფეროებში კადრების დეფიციტს ეხება. ტრენინგების ეფექტურობა ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება, რამდენად სწორად შეირჩევა კადრები პროგრამის განსახორციელებლად და რამდენად კეთილსინდისიერი იქნება შემსრულებელთა დამოკიდებულება საქმიანობის პროცესში. რაც შეეხება მოლოდინს, ამ პროგრამამ მკვეთრად შეცვალოს განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა, უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა – შეუძლებელი იქნება და არც ველოდები. კიდევ ერთხელ გავიმეორებ არგუმენტს – მთავრობას არ გააჩნია განათლების სისტემის განვითარების ერთიანი ეფექტური სტრატეგია.

**– პედაგოგთა ბოლო საგნობრივმა გამოცდამ მასწავლებელთა კომპეტენციის დაბალი დონე აჩვენა. სისტემა თუ პედაგოგები – ვინ არის რეალურად პასუხისმგებელი შედეგზე? არაერთი პედაგოგი ტესტების არაადეკვატურობას, სირთულეს ასახელებს. რა აზრის ხართ თქვენ?**

– პირველ რიგში, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ შემაშფოთებელი იყო მინისტრის კომენტარი სტატისტიკასთან დაკავშირებით – მან ერთმნიშვნელოვნად გაუსვა ხაზი, რომ ეს შედეგი მოსალოდნელი იყო და ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს – ანუ, რა თქვა მინისტრმა? – ერთი მხრივ, იცოდა, რომ ასეთი წარუმატებელი შედეგი დადგებოდა (ამით მასწავლებლების არაკომპეტენტურობას გაუსვა ხაზი) და მეორე მხრივ, მასწავლებელთა გულის მოსაგებად ბრძანა, რომ საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. რეალურად კი, საზოგადოების თვალში შელახა პედაგოგების ავტორიტეტი და სამინისტროს უმაქნისობა მასწავლებელს გადააბრალა.

იმ ხუთიათასამდე პედაგოგის არასახარბიელო შედეგის რეალური მიზეზი რამდენიმე შეიძლება იყოს. პირველი ის, რომ სამინისტრო არ დაინტერესდა წინა შედეგებით, რა იყო წარუმატებლობის მიზეზი და სწორედ ამ მიმართულებით არ იმუშავა პედაგოგებთან, შესაბამისად, შედეგიც იგივე მიიღო; მეორე, პედაგოგები, სამინისტროს მიერ დაგვიანებული ტრენინგების ჩატარების გამო, იძულებული გახდნენ დამოუკიდებლად ეძებნათ გამოსავალი, რომელიც, რა თქმა უნდა, ეფექტური არ აღმოჩნდა. განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ სამინისტრომ თავი ვერ/არ მოაბა ქვეყანაში აკრედიტებული პროგრამების არსებობას, რომელიც შესაბამისობაში იქნება დაკვეთასთან და პედაგოგიც, სურვილის შემთხვევაში, მათ მიაკითხავს გადასამზადებლად; მესამე, პედაგოგთა დიდი უმრავლესობა სურვილის გარეშე დაარეგისტრირეს და მათგან მხოლოდ 50% გამოცხადდა გამოცდებზე; მეოთხე, სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ების არაკოორდინირებული მუშაობა და რეალურ სიტუაციასთან მათი კავშირის არარსებობა ტესტების შინაარსზეც აისახა. ეს ჩამონათვალი, შესაძლებელია, კვლავ გავაგრძელოთ, თუმცა მთავარი ისაა, რომ დღეს რეალურად გვაქვს პედაგოგის მხრიდან დამოუკიდებელი ზრუნვა საინტერესო საგაკვეთილო პროცესის წარმართვისა და განათლების ხარისხის ამაღლებისთვის. სამინისტროს ამ მიმართულებით არ გააჩნია ერთიანი, სისტემური და პრაქტიკაზე ორიენტირებული ხედვა. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს პედაგოგთა კორპუსის ძირითადი ბირთვი კომპეტენტურია, რომელზე დაყრდნობაც ნამდვილად შესაძლებელია და რომელსაც აქვს უნარი, სახელმწიფოს მხრიდან სწორად და ადეკვატურად დაგეგმილი აქტივობების პირობებში, უზრუნველყოს განათლების მაღალი ხარისხი.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

პედაგოგთა დასახმარებლად



შორენა გამყრელიძე

დაწყებითი განათლება

# შემაჯამებელი დავალება–ტესტი

**ქართული ენა და ლიტერატურა (IV კლასი)**
**ტესტი №**
**სახელი, გვარი .................................... თარიღი .................**

**1. გაიხსენე ვაჟა-ფშაველას ლექსი „ქორი და წიწილა“ და უპასუხე კითხვებს:**

*ა) პოეტი წიწილას გატაცებას და ქათმების დაღვრილ ცრემლს გადაჭარბებულად აღწერს. შენი აზრით, რა არის ამის მიზანი?*

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

*ბ) რას ნიშნავს გამოთქმა „მოსვლოდნენ მოკეთეები, კრუხნი, მამლები, ვარია“?*

.......................................................................................................................

**2. იაკობ გოგებაშვილი „ორაგულის ცხოვრება“**

*ა) დაწერე (5-6 წინადადებით) რა გზას გაივლის ორაგული და რა გადახდება მას თავს სამშობლოდან ზღვამდე და უკან? (შინაარსი)*

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

**3. -დან თუ -გან? ჩასვი სწორად**

*ა) ორაგულები სამშობლო ................ შორს წავიდნენ.*
*ბ) ორაგულებმა მეთევზეები ................ შორს გაცურეს.*
*გ) მასწავლებლის ................ შენიშვნა ხშირად მიმიღია.*
*დ) ხის მასალის ................ გამძლე სკამის გაკეთება შეიძლება.*

**4. წაიკითხე ტექსტი და შეასრულე მოცემული დავალებები**

### საინტერესო გამოსავალი



ეს პორტ ისლანდია.

იაპონია ყველაზე წარმატებულად იყენებს ნაგვის ნედლეულს. მჭიდროდ დასახლებულ პატარა კუნძულოვან ქვეყანაში არ არსებობს ნაგავსაყარი. იაპონელები ტერიტორიის გასაფართოებლად ნაგვისგან აკეთებენ ხელოვნურ ხმელეთს. ასეთ კუნძულებს მიწისძვრის დროს ნგრევა არ ემუქრება.

მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი კუნძულია **პორტ ისლანდი**, რომელიც დაკონსერვებული ნაგვისგან არის შექმნილი. მასზე მოთავსებულია აეროპორტი ვერტმფრენებისთვის, სასტუმროები, უნივერსიტეტები, მუზეუმი, მაღაზიები, დასასვენებელი პარკები და რამდენიმე კაფე. კუნძულის დათვალიერება შესაძლებელია პატარა ტურისტული მატარებლით.

იაპონელები ნაგავს მეორადი დანიშნულებით იყენებენ. ყველგან დგას ურნები, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა ტიპის ნაგვისთვის, როგორიცაა: ალუმინის ქილები, შუშა, ქაღალდი და სხვ. პლასტმასის ბოთლებისგან, მათი გადამუშავების შემდეგ, იაპონელები ამზადებენ სპორტულ ტანსაცმელს, სკოლის ფორმებს, საკანცელარიო ნივთებს, საოფისე ავეჯსა და სხვ. ერთ-ერთი კომპანია შუშის ნარჩენებისგან აწარმოებს ქუჩაში დასაგებ მინის ფილებს.

ამიტომაც იაპონიაში ვერსად ნახავთ დანაგვიანებულ ქალაქსა თუ მის შემოგარენს.



ეს კი საქართველოს ტყეა.



ეს თელავის რაიონის 40 000 მეტრზე გადაჭიმული ნაგავსაყრელია.

ლექსიკონი:

**დაკონსერვებული ნაგავი** – საგანგებოდ დამუშავებული, დაპრესილი ნაგავი.
**ნაგავსაყარი** – ნაგვის გადასაყრელი ადგილი.
**ნედლეული** – დაუმუშავებელი მასალა, რომელიც საჭიროა რაიმე პროდუქციის დასამზადებლად.
**შემოგარენი** – მიმდებარე ტერიტორია.

**1. რას იყენებს იაპონია ყველაზე წარმატებულად?**

.......................................................................................................................

**2. რომელია მჭიდროდ დასახლებული პატარა კუნძულოვანი ქვეყანა?**

.......................................................................................................................

**3. რისგან აკეთებენ იაპონელები ხელოვნურ ხმელეთს?**

.......................................................................................................................

**4. რა ჰქვია ხელოვნურ კუნძულს, რომელზეც საუბარია ტექსტში?**

.......................................................................................................................

**5. შენი ახლობელი რომ გაემგზავროს იაპონიაში, რით ურჩევდი პორტ ისლანდის დათვალიერებას?**

.......................................................................................................................

*ა) ვერტმფრენით*
*ბ) თვითმფრინავით*
*გ) კატარღით*
*დ) მატარებლით*

**6. რატომ აკეთებენ იაპონელები ნაგვისგან ხელოვნურ კუნძულებს?**
**ყველა სწორ პასუხთან ჩაწერე უჯრაში ✓.**

☐ არ იციან, სად წაიღონ ნაგავი.
☐ მიწისძვრის დროს ასეთი კუნძულები უსაფრთხოა.
☐ თავს იცავენ დიდი ღელვისაგან.
☐ მჭიდროდ ცხოვრობენ და ტერიტორიის გაფართოებისთვის ზრუნავენ.

**7. მეორე აბზაცში რომელი სიტყვა მიგვანიშნებს იმაზე, რომ პორტ ისლანდის გარდა არსებობს სხვა ამგვარი კუნძულები.**

.......................................................................................................................

**8. ტექსტსა და სურათებზე დაყრდნობით აღნიშნე, რომელია სწორი ინფორმაცია.**

**მაგ.:** საქართველოში ნაგავს მეორადი დანიშნულებით იყენებენ.

**დიახ** (**არა**)

იაპონიის ქუჩები სისუფთავით გამოირჩევა.

**დიახ** **არა**

საქართველოში ტყეები მოვლილი და სუფთაა.

**დიახ** **არა**

იაპონიაში იშვიათად შეხვდებით ნაგვის ურნებს.

**დიახ** **არა**

საქართველოში ნაგვის მთები დიდ ტერიტორიაზეა გადაჭიმული.

**დიახ** **არა**

**9. როგორ შეაფასებდი იაპონელების მიერ ნაგვის მოხმარების ასეთ გადაწყვეტილებას?**

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

.......................................................................................................................

*ტესტის რუბრიკა*

### წარმატებული მოსწავლისათვის

### ტესტი №4

შეუძლია ტექსტის ცალკეულ მონაკვეთში/მთელ ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის – ფაქტების, მოვლენების – გაგება, მის საფუძველზე პირდაპირი დასკვნის გამოტანა.

შეუძლია ტექსტისა და მისი შემადგენელი ნაწილების ანალიზი, შეფასება – მიზეზ-შედეგობრივი და სხვა ლოგიკური კავშირების გააზრების საფუძველზე დასკვნის გამოტანა. ასევე, ტექსტის შინაარსისა და სტრუქტურის გაგება, გააზრება – ტექსტის მთლიანი შინაარსისა და სტრუქტურის გაგება, წერილობით გადმოცემა.

შეუძლია გრაფიკული ნიშნების (ილუსტრაციის, რუკის), გაგება; ტექსტთან მათი ურთიერთკავშირის გააზრება.

შეუძლია პუნქტუაციის მარტივი წესების დაცვა.

### მოსწავლისათვის, რომელსაც ესაჭიროება დახმარება

### ტესტი №4

უჭირს ტექსტის ცალკეულ მონაკვეთში/მთელ ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის – ფაქტების, მოვლენების გაგება, მის საფუძველზე პირდაპირი დასკვნის გამოტანა.

უჭირს ტექსტისა და მისი შემადგენელი ნაწილების ანალიზი, შეფასება – მიზეზ-შედეგობრივი და სხვა ლოგიკური კავშირების გააზრების საფუძველზე დასკვნის გამოტანა. ასევე, ტექსტის შინაარსისა და სტრუქტურის გაგება, გააზრება – ტექსტის მთლიანი შინაარსისა და სტრუქტურის გაგება, წერილობით გადმოცემა.

უჭირს გრაფიკული ნიშნების (ილუსტრაციის, რუკის) გაგება, ტექსტთან მათი ურთიერთკავშირის გააზრება.

უჭირს პუნქტუაციის მარტივი წესების დაცვა.

*ანალიზის ფორმა*

### შემაჯამებელი დავალების ანალიზი

**თარიღი** ––––––––––
**კლასი** –––––––––––
**საგანი** –––––––––––––––––––––––
**თემა** ____________________
**სტანდარტის ნომერი:** –––––––––––––––––––––––
**ინდიკატორები** –––––––––––––––––––––––

მოსწავლეთა რაოდენობა ________
სტანდარტი დაძლია ––––– მოსწავლემ.
ვერ დაძლია ––––––– მოსწავლემ.
**დასკვნა** ––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––
––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––
––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––
––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––

**თუ პრობლემა გამოიკვეთა, დაწერეთ პრობლემის გადაჭრის გზა**

__________________________________________________
__________________________________________________
__________________________________________________
__________________________

**მასწავლებლის სახელი, გვარი** ––––––––––––––––––––––––––––

თვალსაზრისი

# მასწავლებლის ავტორიტეტს გაფრთხილება სჭირდება

ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე გამოვხმაურებოდი იმ ემოციურ განცხადებებს, რაც გაკეთდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით.

არ ვარ დამწყები მასწავლებელი, თითქმის 46 წელია ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას, აქედან ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი სკოლას. წარჩინებით დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წლების განმავლობაში ვიყავი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების საგამოცდო კომისიის წევრი. არასოდეს არ მიგვრძვნია თავი ისე შეურაცხყოფილად, როგორც დღეს, ყოველთვის ვამაყობდი ჩემი პროფესიით და ახლა... მასწავლებელი ყველას სალანძღავ ობიექტად იქცა.

მართალია სასერტიფიკაციო გამოცდებზე მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა ვერ გადალახა კომპეტენციის ზღვარი, მაგრამ ყველას მიერ, ყველა სატელევიზიო არხზე წამოძახილი „ჩაჭრილი მასწავლებლები“, თანაც სხვადასხვა ფორმით, არაკორექტული და მასწავლებლის პროფესიის შეურაცხმყოფელია, ლახავს მის ავტორიტეტს, თანაც ისეთი პიროვნებების მიერ, რომლებიც არ არიან განათლების სფეროს წარმომადგენლები და საერთოდ არ აქვთ შეხება სკოლასთან. მშობელთა უმრავლესობამ ეს გამოიყენა თავისი არასასურველი განწყობის სამართავად სკოლისა და მასწავლებლების მიმართ. მათ არ უნდა მისცემოდათ ყველაფრის თქმის და გამოხატვის საშუალება.

დღეს მასწავლებელს დიდი ძალისხმევით უხდება მრავალმხრივ უფლება მინიჭებულ მოსწავლეებთან მუშაობა, რომლებიც წიგნს გაემიჯნენ და ინფორმაციის ძირითად წყაროს კომპიუტერი და ტელევიზია წარმოადგენს, საიდანაც მათთვის ყველაფერი, ყველანაირი ხელმისაწვდომია, ხოლო ის ერთადერთი, ვინც მათთვის სწორი ორიენტაციის მიმცემია, საჯარო დაცინვის ობიექტად იქცა.

მე პრაქტიკოსი მასწავლებელი ვარ. სამწუხაროდ, მასწავლებელთა საკმაო ნაწილს, მათ შორის მეც, უკვე გამოცდაზე გასვლის სურვილიც აღარ აქვს. მასწავლებელთა მიერ კომპეტენციის ზღვრის გადაულახველობა (განსაკუთრებით ტექნიკურ საგნებში) საგნის უცოდინარობა არ არის. მიზეზი კომპლექსურია.

პრაქტიკოს მასწავლებელთა უმრავლესობას, წლების განმავლობაში, უხელფასოდ უხდებოდა მუშაობა, მაგრამ მათთვის სკოლის, მოსწავლის სიყვარული მატერიალურ ფასეულობაზე მაღლა იდგა და ახლაც ასეა.

შეიძლება ჩემი ნათქვამი ბევრს არ მოეწონოს და გაღიზიანდეს, ნუ გამკიცხავთ, ეს ჩემი სუბიექტური აზრია და თუ ყველას ყველაფრის თქმის საშუალება მიეცა მასწავლებელზე, მეც ამ საზოგადოების წევრი ვარ და მეც უნდა მქონდეს ჩემი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება და უფლება.

წარსულიდან ყველაფრის უარყოფა არ შეიძლება. ზოგიერთი ახალი მიდგომებიც არაა მოსაწონი და სახარბიელო, ბევრი რამ ახალი კი, განათლების სფეროში, სახეშეცვლილი ძველია.

უნდა გვახსოვდეს, პროფესიონალიზმი გამოცდილებაშია.

**რიმა ფარეშიშვილი**
*თელეთის საჯარო სკოლის მასწავლებელი*

სასკოლო აქტივობა

# სასკოლო კონკურსი





მარტის დღესასწაულებთან დაკავშირებით, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლის ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ გამოაცხადა შიდა სასკოლო კონკურსი შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო ნახატი, ნოველა, ლექსი, ჩანახატი და ა.შ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ნამუშევრები უნდა წარედგინათ შესაბამისი კათედრისთვის, არაუგვიანეს, 29 თებერვლისა, თან მიეწერათ ფსევდონიმი და არა სახელი და გვარი.

ნაშრომი ფასდებოდა ათქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ნაშრომის აკადემიური სტილი – 3 ქულა;
2. ნაშრომის ორიგინალურობა – 4 ქულა;
3. ნაშრომის აგება გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით – 3 ქულა.

შემოსული ნამუშევრები შესაფასებლად გადაეცა სოფელ საბეჭისის საჯარო სკოლის პედაგოგებისაგან შემდგარ ჟიურის, მათ გაასწორეს ნაშრომები და მიანიჭეს შესაბამისი ქულები.

შემაჯამებელ კონფერენციაზე, რომელიც სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა, მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას (პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები, თემის წარმომადგენლები) თავად წარუდგინეს საკუთარი ნამუშევრები.

ჟიურიმ, ნომინაციის მიხედვით, გამარჯვებული ნაშრომები დაასახელა და გამარჯვებულებს სიგელები გადასცა.

**ინეზა კორძაია**
*ბარეთის საჯარო სკოლის ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის თავმჯდომარე*

## სიხარულის ცრემლები

ყაზბეგის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდნენ მანანა, მერაბი და მათი შვილები: ნინი, ელენე და დიმიტრი. ნინო 3 წლის იყო, ელენე – 12-ის, დიმიტრი კი – 15-ის. მანანა და მერაბი დილით ადგებოდნენ ძროხების მოსავლელად. დიმიტრი ცეცხლს დაანთებდა, ელენე სახლს დაალაგებდა და საჭმლის კეთებას დაიწყებდა, ამასობაში მანანა და მერაბი მოვიდოდნენ, დაიბანდნენ, მანანა საჭმლის კეთებას დაამთავრებდა და სუფრას შემოუსხდებოდნენ. ჭამის შემდეგ ხელებს დაიბანდნენ, მანანა ბავშვებს დალოცავდა და სკოლაში გაუშვებდა, ჭურჭელს გარეცხავდა. შუადღეს მანანა ნინის დააძინებდა, „იავნანას“ უმღეროდა და უცებ ეძინებოდა.

მანანა ბოსტანში მუშაობდა, მერაბი კი – ყანაში; უფრო ბევრი სამუშაო მანანას ჰქონდა. მანანა, როგორც კი დაბრუნდებოდა, ხელებს დაიბანდა და საჭმლის კეთებას დაიწყებდა. ცდილობდა ის გაეკეთებინა, რაც ბავშვებს მოეწონებოდათ და გაეხარდებოდათ. მოვიდოდნენ ბავშვები, დედას მოეხვეოდნენ, დედა კი ეკითხებოდა, თუ რა ხდებოდა სკოლაში. ერთ დღესაც, როდესაც დედამ შვილებს ჰკითხა, რა ნიშნები მიიღეთო, ელენემ უპასუხა:

– დედა, მე ქართულში, მათემატიკასა და ისტორიაში ათიანები მივიღე, დანარჩენში არ შემაფასეს, მაგრამ კარგად ვიცოდი.

– ყოჩაღ, ელენე, სულ ასე გესწავლოს! დიმიტრი, შენ რა ჰქენი?

– დედა, მაპატიე, ისტორიაში ორი მივიღე, მაგრამ ქართულსა და მათემატიკაში ათიანები, – თავი ჩაღუნა დიმიტრიმ.

– კარგი, არა უშავს, ერთხელ თუ არ გაგიმართლა, მეორედ გაგიმართლებს, – დაამშვიდა დედამ.

– ისე, მართლა რატომ არ იცოდი? – ბიჭი არაფერს ამბობდა.

– შვილო, მითხარი, ნუ გერიდება!

– დედა, გუშინ მამა ყანაში რომ იყო, მე შეშას ვჩეხავდი, მერე სახლში რომ მოვედი, გაკვეთილის სწავლა ვერ მოვასწარი.

– შვილო, ამაზე მე უნდა მოგიხადო ბოდიში... იცი, თქვენი საყვარელი საჭმელი გავაკეთე.

ბავშვებს ძალიან გაეხარდათ, გამოიცვალეს, ხელები დაიბანეს, მერაბიც შემოვიდა. სუფრას მიუსხდნენ, შემდეგ მანანამ და ელენემ სუფრა აალაგეს, ელენემ ჭურჭლის დარეცხვა დააპირა, მაგრამ მანანამ შეაჩერა და უთხრა:

– შვილო, გთხოვ, ამას თავი დაანებე, წიგნები აიღე და იმეცადინე.

– კარგი, დედა, თუ ასე გინდა, ასე იყოს.

– წადი, იმეცადინე.

მანანამ რეცხვა უცებ დაამთავრა და გარეთ გავიდა, დიმიტრი შეშას ჩეხავდა.

– შვილო, მომე ნაჯახი, შეშას მე დავჩეხავ, შენ გაკვეთილებს მიუჯექი.

– მადლობა, დედა! – და შემოეხვია.

მანანამ შეშა დაჩეხა, სახლში შეიტანა, მერე საქონელს მიხედა და სახლში შევიდა...

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა დიმიტრიმ ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, დებს ძალიან გაუხარდათ.

ერთ ღამეს დიმიტრიმ მამას ჰკითხა:

– მამა, თუ იცი, ასე რატომ და ვის გამო გამიმართლა?

მერაბი გაკვირვებული იხედებოდა... დედა კი მიხვდა და სიხარულის ცრემლები სდიოდა.

***იზაბელა***
მე-7 კლასის მოსწავლე **მეგი ფირცხელიანი**

## სიკეთის უკვდავება

(დედის მონაყოლი)

– თამარა ბებო, თამარა ბებო, ჩქარა გამომყევი, – მივაყარე სეტყვასავით თამარა ბებიას და თავზეც დავადექი.

– რა იყო შვილო, რა ცეცხლი წაგეკიდა ამ გაგანია სიცხეში, სული მოითქვი და ისე ამიხსენი, რა მოხდა? – მკითხა და თან ჯოხზე დაბჯენილმა ფეხსაცმლის ჩაცმა დაიწყო.

– ბაბუას თევზის ძვალი გაეჩხირა და იხრჩობა, ეთო ბებიამ, ამას მხოლოდ ჩვენი თამარი თუ უშველისო და შენთან გამომაქცია.

– რამდენი ხანია, ბებია, რაც ეს ხიფათი შეემთხვა? დიდი დრო ხომ არ გასულა მას შემდეგ?

– არა, ბებო, არა, ახლახან ვისადილეთ.

– შენ წინ გაიქეცი, ჩემო თიკო, ბაბუაშენს უთხარი, ჩემკენ წამოვიდეს და მეც მოვდივარ, – მითხრა თამარა ბებიამ და უკან მომყვა რაღაცა გაუგებარი სიტყვების ჩურჩულით. მე წინ მივრბოდი, ის უკან მომდევდა (რამდენადაც შეეძლო ჯოხზე დაყრდნობილ მოხუც ქალს) ლაპარაკით. ბაბუაჩემი მისკენ წავიდა და როცა ერთმანეთს მიუახლოვდნენ, გავიგონე, როგორ ხმამაღლა დააცხიკვა ბაბუამ. თამარა ბებია კი დაიხარა და მიწიდან საკმაოდ მოზრდილი ფხა აიღო, ღიმილით მიაწოდა ბაბუას და უთხრა:

– აბა, როგორ გრძნობ თავს, სანდრო ბატონო (ყოველთვის მიკვირდა, თამარა ბებია ასაკით უმცროსებსაც ასე მოწიწებით რომ მიმართავდა ხოლმე), გაგიარათ „ხრჩობამ“?

– ღმერთო, ქალბატონო თამარ, კიდევ არ მჯერა რომ ამ საშინელებისგან ასე ადვილად გავთავისუფლდი. დარწმუნებული ვიყავი, ოპერაციის გარეშე ვერ გადავრჩებოდი...

– ეს არაფერია, ჩემო სანდრო, მაგრამ ამის შემდეგ, ალბათ, არ გაუწყრები ეთიკოს, როცა ჩემთან დამწვრის ან სხვა რაღაცის წამალზე გადმოვა...

– მაპატიეთ, ქალბატონო, მე მართლა ეჭვის თვალით ვუყურებდი თქვენს შესაძლებლობებს, დღეიდან ქედს ვიხრი თქვენი საოცარი უნარის წინაშე და ვეცდები სხვა „ურწმუნო თომებიც“ მოვაქციო...

* * *

ამ დღეებში რატომღაც ეს პატარა ეპიზოდი გამახსენდა ჩემი ბავშვობიდან და საოცრად მომინდა, თავად უკვე თითქმის ბებიას, სოფელში ჩასვლა და თამარა ბებოს საფლავზე ყვავილების მიტანა...

თამარა ბებო, ყველა შენ მიერ მორჩენილი მუხლებგადაყვლეფილი ბიჭის, ლოყადამწვარი ჩემი პატარა დაიკოს, ფხაგადაყლაპული ბაბუაჩემის, მორიელებისაგან დაკბენილი ბოდლო ბაბუასა და უამრავი სხვა ჩვენი თანასოფლელის (და არა მარტო მათი) სახელით, მინდა დიდი მადლობა გითხრა... დღემდე ყველას ახსოვს შენი ამაგი, უშურველად გაღებული სითბო. შენგან დათესილი სიკეთე, წყაროს წყლად აღმოცენებული მორაკრაკებს შენივე სახლის ქვევით, გზის პირას და აგრძელებს სიცოცხლეს...

***სვანიუსი***
მე-9 კლასის მოსწავლე **მარი ვიბლიანი**

## სიხარული ტკივილით

ოთხი წლის ვიყავი. ზაფხულის ცხელი ღამე იყო. მშვიდად მეძინა, უცნაური ხმა მესმოდა, ვერ ვიხსენებ, სიზმარი იყო თუ ცხადი და როდესაც გამეღვიძა, დედის შეშინებული თვალები დავინახე. ოთახში აქეთ-იქით დადიოდა, ორივე ხელი მუცელზე ეკიდა და ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა. შემომხედა და მითხრა: ნუ გეშინია, დაიძინე, მე ახლა წავალ და პატარა ძმას მოგიყვან.

მეშინოდა დედის წასვლის, მას ტკივილები აწუხებდა. ჩემი პატარა გული აჩქარებულად ცემდა. დავწექი, ცოტა დავწყნარდი, უკვე ექიმიც მოვიდა. დედა მომიახლოვდა, შუბლზე მაკოცა: მშვიდად დაიძინე, ჩემო პრინცესავ! თითქოს შუბლი გამიხურა დედის კოცნამ, დამამშვიდა მისმა თბილმა თვალებმა, დამეძინა.

10 ივნისი. მამამ მანქანაში ჩაგვსხა მე და ჩემი ძმა, საავადმყოფოში წაგვიყვანა. დერეფანი ჩქარა გავიარეთ, პალატაში შევედით და ლოგინში დაგვხვდა დედა, გვერდით პატარა ეწვინა...

***ათერინა***
მე-7 კლასის მოსწავლე **მარეხ დევდარიანი**

კონფერენცია

# განსხვავებული ხედვა

„მეწარმეობის საფუძვლები“ ის საგანია, რომელსაც, არჩევით საგანთა შორის, ხშირად ანიჭებენ უპირატესობას X-XI კლასელები. განვლილი წლები გვიჩვენებს, რომ ინტერესი ეკონომიკური საკითხებისადმი იზრდება, უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა ცდილობს, დაეუფლოს იმ უნარ-ჩვევებს, რაც ასე აუცილებელია ბიზნეს საქმიანობისთვის. ამის დასტური იყო 52-ე და 166-ე სკოლების მოსწავლეთა ერთობლივი კონფერენცია, რომელიც თსუ-ში გაიმართა.

წარმოდგენილი თემატიკის მრავალფეროვნების და თითოეული პრეზენტაციის მიხედვით, კარგად გამოჩნდა მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავება-ანალიზის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ორიგინალური იდეების და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარ-ჩვევები. ბუნებრივია, საგნისადმი ინტერესს, პირველ რიგში, პედაგოგი აღვივებს. ასეა ამ შემთხვევაშიც. ეკონომიკის დოქტორი, ბატონი **ვაჟა კაკაბაძე** მესამე წელია სამეწარმეო საქმიანობას ასწავლის ამ სკოლებში. ამბობს, რომ ძალიან საინტერესოა თანამედროვე ახალგაზრდებთან ურთიერთობა, რადგან მათ განსხვავებული ხედვა აქვთ მიმდინარე პროცესებზე, ორიგინალური და საინტერესო იდეები – ქვეყნის მომავლის შესახებ. *„ძალიან რთული ყოფილა სკოლის პედაგოგობა, ქედს ვიხრი თითოეული ჩემი კოლეგის წინაშე, თუმცა, სირთულესთან ერთად საინტერესოცაა. ჯერ კიდევ პირველი კონფერენციის მომზადებისა და მისი წარმატებით ჩატარების შემდეგ, დავრწმუნდი, ეკონომიკურ მეცნიერებასთან ამ დოზით შეხებაც კი იმდენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ავითარებს, რომ აუცილებლად წაადგებათ ნებისმიერ სფეროში საქმიანობისას. ამიტომაც მიმაჩნია ძალიან მნიშვნელოვნად ამ საგნის სათანადო დონეზე სწავლება, მით უმეტეს, რომ ახალგაზრდები დიდ დაინტერესებას იჩენენ. დარწმუნებული ვარ, თუ სადმე შედეგი არასახარბიელოა, ეს უფროსების ბრალია და არა მოსწავლეების.*

*ჩვენ წელს მესამედ ჩავატარეთ კონფერენცია, რაშიც ძალიან დაგვეხმარნენ თსუ-ს რექტორი, ბატონი* ***ლადო პაპავა*** *და თსუ-ს კვლევითი ცენტრის დირექტორი, ბატონი* ***ვახტანგ ჭარაია****. ჩემმა მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი ნიჭიერება, რაზეც მათ მიერ წარმოდგენილი ბიზნესგეგმები მეტყველებს. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ:* ***საბა ბიწაძის*** *და* ***გიორგი მაჭავარიანის*** *ბიზნესის გეგმა შეეხებოდა შოკოლადის წარმოებას საქართველოში. მათ დეტალურად ჰქონდათ გაანალიზებული წარმოების მთელი პროცესი და, რაც მთავარია, იყენებენ მხოლოდ ადგილობრივად წარმოებულ პროდუქციას; ძალიან კარგი იყო* ***მარიამ გოგებაშვილის*** *და* ***თამთა მეგრელიშვილის*** *ბიზნესგეგმა, რომელიც შეეხებოდა თბილისში კაფე-ბიბლიოთეკის გახსნას. მათ თანამედროვე თვალთახედვით გააანალიზეს მისი საჭიროება და დაასაბუთეს არა მარტო მომგებიანობა, არამედ მისი აქტუალობაც; საყურადღებო იყო* ***მარიამ კვესელაძის*** *ბიზნესგეგმა. მან დამოუკიდებლად განახორციელა მარკეტინგული კვლევა და წარმოადგინა სამკერვალო საწარმოს საქმიანობის პროექტი, ყველა ხარჯითა და შემოსავლით; მოწონება დაიმსახურა* ***თამარ მიხელიძის*** *ბიზნესის გეგმამ, რომელიც ეხებოდა სპორტული დარბაზის შექმნას. მისი მთავარი სლოგანი იყო: „ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრებით“.*

ბატონი ვაჟა ამბობს, რომ მოსწავლეების მიერ დამუშავებული თემების ხარისხი აძლევს საფუძველს, კონფერენციის მიზანი მიღწეულად ჩათვალოს, რადგან ახალგაზრდებმა ნამდვილად გამოავლინეს ის უნარები (აბსტრაქტული აზროვნებისა და ინტუიციის, დასკვნების გაკეთების, ანალიზის, თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების, ორიგინალური იდეების გენერირების, ინიციატივის საკუთარ თავზე აღებისა და სხვ.), რასაც საგნის სწავლება ისახავს მიზნად და რაც ასე საჭირო და გამოსადეგია საბაზრო ეკონომიკის პირობებში.





მარიკა ბენიძე

სასკოლო აქტივობა

# აუტიზმი, სკოლა, საზოგადოება...

2 აპრილი აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეა. დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად საქართველო მეექვსედ აღნიშნავს ამ დღეს და აღნიშნავს მანამ, სანამ საზოგადოება არ იქნება სრულად ინფორმირებული ამ დაავადების შესახებ, სანამ არ მივიღებთ მათ ისეთებს, როგორებიც არიან და სანამ არ ვიქნებით ტოლერანტულები მათ მიმართ.

სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) ბაზაზე ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთათვის. აქ ბავშვები განათლებას განსაკუთრებული მეთოდოლოგიის გამოყენებით იღებენ. სასწავლო პროგრამა ეროვნულ სასწავლო გეგმას ეფუძვნება და მორგებულია აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ინტეგრირებული კლასის შექმნის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის სოციალური უნარების განვითარებას, თანატოლებთან ურთიერთობას, ქცევის მართვას, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა შეძლონ თანატოლებთან აქტიური კომუნიკაცია და სასწავლო პროცესში ჩართვა. აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეები უკვე აღწევენ წარმატებებს, როგორც აკადემიურ სფეროში, ასევე თანატოლებთან ურთიერთობისას.





ქართული საზოგადოება ვალდებულია, იყოს ინფორმირებული ამ დაავადების შესახებ და სწორედ ამიტომ, 72-ე საჯარო სკოლაში მოეწყო კვირეული სახელწოდებით: „ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, ჩვენ ერთად ვართ“ (პროექტის ხელმძღვანელი – დაწყებითი კლასის პედაგოგი **მარინე აფციაური**).

კვირეულის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები:

– დაიბეჭდა და საკლასო ოთახებში გამოიკრა საინფორმაციო პლაკატები;

– მოსწავლეებმა საკუთარი ხელით დაამზადეს აუტიზმის სიმბოლოები;

– მოეწყო ესეების კონკურსი და ნახატების გამოფენა „ჩემი უნიკალური მეგობარი“;

– მოსწავლეებმა დაამზადეს საინფორმაციო კედლის გაზეთები;

– გადავიღეთ ორი ვიდეოკლიპი: 1. როგორ ხდება აუტიზმის მქონე მოსწავლის კლასში ინტეგრაცია/სოციალიზაცია; 2. როგორ მუშაობენ ბავშვები რესურსოთახში;

– 1 აპრილს მოეწყო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეები და მათი მეგობრები. ბავშვებმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია აუტიზმის შესახებ, წაიკითხეს ესეები, ლექსები, იმღერეს და გაუხალისეს დღე ერთმანეთს;



– 4 აპრილს, აუტიზმის დღესთან დაკავშირებით, I ᵈ კლასმა წარმოადგინა ღონისძიება „გამიგე, მიმიღე, შემიყვარე“.

მოსწავლეებმა მოაწყვეს გამოფენა, დაამზადეს სამკერდე ნიშნები, წაიკითხეს ლექსები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. ღონისძიება მიზნად ისახავდა აუტისტური აშლილობის სპექტრის მქონე თანაკლასელისადმი თანადგომას.

განსხვავებული შესაძლებლობები მრავალფეროვნების ბუნებრივი ნაწილია, ამიტომაც ხელი უნდა შევუწყოთ შეზღუდული შესაძლებლობების სოციალურ მოდელს. სოციალური მოდელი კი ხაზს უსვამს იმას, რომ საზოგადოება უნდა შეეწყოს ინდივიდს და ეს პროცესი მოსწავლის საჭიროებიდან იწყება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სწავლის პროცესში წარმოქმნილი ბარიერის გადალახვა.

მარინე აფციაური
*დაწყებითი კლასის პედაგოგი*

გამოცდილება

# ჰოვარდ გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გამოყენება ქიმიის გაკვეთილზე



**ნატალია ლუკაშევსკაია**
**სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი**

ინტელექტს, ანუ გონებრივ უნარსა და ნიჭს, ბევრი განსაზღვრება აქვს:
- ინტელექტი არის ცოდნის დაუფლების, ანუ სწავლის უნარი;
- ინტელექტი არის ადრე შეძენილი ცოდნის და გამოცდილების ახალ სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- ინტელექტს აქვს ადაპტაციის უნარი.

ამერიკელი მეცნიერის, ფსიქოლოგის ჰოვარდ გარდნერის აზრით, დაუშვებელია ადამიანის შეფასება დაბალი, საშუალო და მაღალი ინტელექტით, რადგან ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სწავლების სტილით, ნიჭით, მიდრეკილებით. ადამიანები იძენენ ცოდნას, უპირატესად, იმ შესაძლებლობის მიხედვით, რომელი ტიპის ინტელექტი აქვთ მეტად განვითარებული.

მოსწავლის ინტელექტუალური აზროვნება და ინტელექტუალური ქცევა დამოკიდებულია ადრე შეძენილ ცოდნაზე. რაც უფრო მეტი იციან მოსწავლეებმა სამყაროსა და შესასრულებელი ამოცანების შესახებ, უფრო ინტელექტუალურად იქცევიან. ინტელექტი არ არის უცვლელი თვისება: მისი შეცვლა შესაძლებელია სწავლისა და გამოცდილების საშუალებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების თანახმად, სწავლა ნიშნავს არა მარტო ინფორმაციის შეძენასა და დაგროვებას, არამედ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას.

გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:
- მოსწავლეების აზროვნების დონე;
- მოსწავლეების საჭიროებები, მათი უნარები, ცოდნის გამოცდილება, ბუნებრივი შესაძლებლობები და ინტერესები;
- გაკვეთილის მიზნის მისაღწევად მასწავლებელი არჩევს შესაბამის აქტივობებს და სასწავლო მასალას.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებიდან გამომდინარე ამ გაკვეთილის მიზანია:

ქიმ.VIII.XI.
- მოსწავლემ ისწავლოს წყლის ფიზიკური თვისებები;
- მოსწავლემ ისწავლოს წყლის გავრცელება ბუნებაში;
- მოსწავლე ახასიათებს წყალს, როგორც წყალბადის ოქსიდს;
- მოსწავლე იმსჯელებს წყლის აგებულებასა და სტრუქტურაზე.

მას განუვითარდება შემდეგი უნარ-ჩვევები;
- ექსპერიმენტზე დაკვირვების;
- დასკვნის გაკეთების;
- ძველი და ახალი მასალის დაკავშირების;
- შემოქმედებითი აზროვნების.

ჰოვარდ გარდნერის თვალსაზრისით, ადამიანებს აქვთ 8+1 ერთმანეთისაგან განსხვავებული უნარი, ანუ მრავალმხრივი ინტელექტი.




1. ლინგვისტურ-ენობრივი;
2. მათემატიკურ-ლოგიკური;
3. სივრცული;
4. მუსიკალური;
5. ფიზიკურ-კინესტეტიკური;
6. ინტერპერსონალური;
7. ინტრაპერსონალური;
8. ნატურალისტური;
9. ეგზისტენციალური.

გარდნერის აზრით, ყველა ბავშვს აქვს ცხრა ტიპის ინტელექტი და შეუძლია მათი საკმაოდ მაღალ დონეზე განვიათარება. იგი გვირჩევს, გაკვეთილები ისე დავგეგმოთ, რომ ინტელექტის, რაც შეიძლება მეტ, სფეროზე გავამახვილოთ ყურადღება.

**გაკვეთილის თემა**: წყალი ბუნებაში. წყლის ფიზიკური თვისებები.

**კლასი:** VIII, 29 მოსწავლე, სსსმმ არ არის.

სამფაზიანი გაკვეთილის დაგეგმვისას გავითვალისწინე მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები.

რამდენიმე მოსწავლე დადის სპორტზე, ზოგი მეცადინეობს სამხატვრო სტუდიაში, სწავლობს მუსიკალურ სკოლაში, დადის ცეკვის წრეზე, მონაწილეობს ქართული ენის, უცხო ენის და მათემატიკის ოლიმპიადებში.

აქედან გამომდინარე, შევარჩიე ისეთი სასწავლო აქტივობები, რომლებიც ბავშვის უნარებს არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს. ამით თავიდან ავირიდე ბავშვთა პასიურობა გაკვეთილის პროცესში და ხელი შევუწყვე მათ მრავალმხრივ განვითარებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ამ კლასის მოსწავლეების უნარები და შესაბამისი სასწავლო აქტივობები:

| ინტელექტის მხარეები (ტიპი) | აზროვნების საშუალება | აქტივობები | წყლის თვისება |
|---|---|---|---|
| ლინგვისტური/ ენობრივი | სიტყვების, ქიმიური სიმბოლოების საშუალებით | ფორმულების და ქიმიური განტოლების დაწერა და წაკითხვა, მსჯელობა, აზრის გამოხატვა | ქიმიური ფორმულა, ქიმიური რეაქციის განტოლება |
| ლოგიკური/ მათემატიკური | მსჯელობის საშუალებით, ქიმიური ფორმულების შედგენა | მოლეკულური ფარდობითი მასის გაანგარიშება, მასური წილის გამოთვლა, ქიმიური რეაქციის გათანაბრება, მსჯელობა, აზრის გამოხატვა | მოლეკულური მასა, სტრუქტურა, წყლის მიღების რეაქციის განტოლება |
| სივრცული | გამოსახულების და ნახატების საშუალებით, ვიზუალური ობიექტების გონებაში წარმოსახვა | მოდელების აგება, სტრუქტურული ფორმულის დაწერა, მოვლენები, დაკვირვება | ნაკადულის მოძრაობა რაკრაკი, თოვლი – ფიფქების ვალსი, ცაში „ფარფატი“, ცისარტყელა, მდინარის მოძრაობა კალაპოტში, წყლის მოლეკულის მოდელების აგება |
| მუსიკალური | რიტმის და მელოდიების საშუალებით | წვიმის ხმაური, ნაკადულის ჩურჩული | ნაკადულის მოძრაობა – რაკრაკი და ფიფქების ვალსი – თოვლი |
| ფიზიკურ-კინესტეტიკური | ფიზიკური შეგრძნებების საშუალებით | მოდელების აგება, სტრუქტურული ფორმულის აღწერა | ნაკადულის მოძრაობა, ფიფქების ვალსი – მოდელების აგება |
| ინტერპერსონალური | სხვა ადამიანებთან იდეების გაზიარების საშუალებით | მსჯელობა თვისებების და მოვლენების შესახებ მოსწავლეების წრეში | ნივთიერებების წყალში ხსნადობა, წყლის აღნაგობა, აგრეგატული მდგომარეობა |
| ინტრაპერსონალური | საკუთარი მოთხოვნილებების, გრძნობების და მიზნების მიმართ მსჯელობა, აზრის გამოხატვა | გამოთვლები, ცდებზე დაკვირვება, ქიმიური რეაქციის განტოლების დაწერა და გააზრება, ამოცანების ამოხსნა | წყალი კარგი გამხსნელია, წყლის უნიკალურ თვისებებზე ფიქრი |
| ნატურალისტური | ბუნებასთან ურთიერთობით | წყლის როლი ბუნებაში, გამოყენება, წყალი ადამიანის ორგანიზმში | ნაკადულის მოძრაობა – რაკრაკი, წვიმა, თოვლი, წყალდიდობა, ცისარტყელას წარმოქმნა წვიმის შემდეგ, ფოტოსინთეზი, წყალი ადამიანის ორგანიზმში |
| ეგზისტენციალური | სასულიერო, ემპათიური | სუფთა წყალი ბუნებაში, ნაკურთხი წყალი | ეკოლოგიის საკითხები, წყლის სისუფთავის საკითხები, წყლის დაცვა დაბინძურებისგან. სუფთა წყლის მარაგი, ვერცხლის გავლენა ბაქტერიებზე |

ჰოვარდ გარდნერის მრავალმხრივი თეორიის გამოყენება გაკვეთილის პროცესში მომეხმარა:
- მთელი კლასის სასწავლო პროცესში ჩაბმაში;
- გაკვეთილის დაგეგმვაში;
- კლასის მართვასა და ორგანიზებაში;
- საშინაო დავალების მიცემაზე უკუკავშირის მიღებაში;
- მოსწავლეების ინტერესების და ბუნებრივი შესაძლებლობების შესწავლის გათვალისწინებამ გააადვილა შედეგზე გასვლა.

პროფესიული განათლება

# საჯარო–კერძო პარტნიორობა საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში კერძო სექტორის პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმებზე მომუშავე თემატურ სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის ფარგლებში, განხილულ იქნა თემატური სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებული ანგარიში და კერძო სექტორის პროფესიულ განათლებაში ჩართვის ძირითადი მექანიზმები განისაზღვრა. სამუშაო შეხვედრაზე საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის (GEA) წარმომადგენლებმა სამხრეთ კავკასიაში პროფესიული განვითარების სფეროში პარტნიორობის პროექტიც მიმოიხილეს.





საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში საჯარო-კერძო პარტნიორობა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური ფორმის დანერგვა და გერმანული მოდელის ამოქმედება სწორედ, დამსაქმებლის ჩართულობით, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას, შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიების გამოკვეთასა და განხორციელებას გულისხმობს.

**ქეთევან ნატრიაშვილი**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა პარტნიორებთან, პროფესიულ განათლებაში რეფორმის ახალი ეტაპის განხორციელების მიზნით. კონკრეტულად, ვგულისხმობთ საჯარო-კერძო პარტნიორობას, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვას, მათ შორის დუალურ განათლებასთან დაკავშირებით აქტიურად ვთანამშრომლობთ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასთან. უკვე იმართება შეხვედრები იმ მიზნით, რომ საქართველოში დუალური განათლების დანერგვის ეტაპები დავგეგმოთ, საუბარია დუალური განათლების ხარჯსარგებლიანობაზე, ასევე, მეღვინეობის სფეროში დუალური განათლების დანერგვაზე და პარტნიორების შერჩევაზე. დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას, დუალური განათლების დანერგვასთან დაკავშირებით, მალე წარვუდგენთ ახალ შედეგებს.“*



**იოჰან ტაისი**, ჯგუფის ლიდერი „ჯი-აი-ზეტ“-ის კერძო სექტორის განვითარების პროგრამაში: *„როგორც მოგეხსენებათ, კერძო სექტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული, კვალიფიციური კადრები. შესაბამისად, „ჯი-აი-ზეტ“ მხარს უჭერს საქართველოში პროფესიული უნარების განვითარებას, პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობას და გარკვეული წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებას. მისასალმებელია საქართველოს მთავრობის პოზიცია – საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია დუალური სისტემის განვითარება პროფესიულ განათლებაში. ჩვენი მიზანიც ეს არის, დავეხმაროთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმაში.“*

# რეგულაციები პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარებისთვის

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პარტნიორ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების რეგულირების დოკუმენტზე მუშაობს. ამ პროცესში სამინისტროს დახმარებას უწევს ევროკავშირის პროექტი და გაეროს განვითარების პროგრამა.

პროფესიული მასწავლებლის განვითარების, კარიერული წინსვლის, პროფესიული საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესისა და ანაზღაურების მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის შესაძლებელი იქნება პედაგოგიური კურსის გავლა და შესაბამისად, მასწავლებელთა პედაგოგიური უნარების გაძლიერება, ასევე, მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმა და განხორციელება. რეგულირების დოკუმენტს თან ახლავს რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძანება, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურების წესი. იმისათვის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარება მათ კარიერულ წინსვლასთან და ანაზღაურების გაუმჯობესებასთან იყოს დაკავშირებული, დოკუმენტზე მუშაობენ როგორც სასწავლებლების წარმომადგენლები, ასევე პროფკავშირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები.

პროექტის განხილვისას გათვალისწინებულ იქნა როგორც საერთაშორისო სტანდარტები, ასევე ადგილობრივი გამოცდილება. დოკუმენტის მოქნილობისთვის და პრაქტიკაში წარმატებით დასანერგად, მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იქნეს ყველა შესაძლებლობა და რისკი, რომელიც პროექტის წარმატებით დანერგვისთვის იქნება საჭირო. მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია პირდაპირ კავშირშია პროფესიული განათლების ხარისხთან, სტუდენტთა მოტივაციასთან და მათ შემდგომ წარმატებასთან შრომის ბაზარზე.

**ქეთევან ნატრიაშვილი**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია პროფესიულის მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ამ პროცესებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პარტნიორია ევროკავშირი, მისი ტექნიკური დახმარების პროექტი და ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაში მონაწილეობენ – გაეროს განვითარების პროგრამა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო და ა.შ. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები პროფესიულის მასწავლებლის ანაზღაურებასა და პროფესიული განვითარების საკავალიფიკაციო მოთხოვნების წესის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. პროცესი ღია და გამჭვირვალეა, აქტიურად არიან ჩართული სოციალური პარტნიორები, განათლებისა და მეცნიერების სისტემის მუშაკები, თვითონ პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლები და ერთად მსჯელობენ ამ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.“*



**გოჩა ალექსანდრია**, პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე: *„თითქმის წელიწადია, პროფესიული კავშირების წარმომადგენლები ჩართული ვართ პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა კარიერული დაგეგმვის, ასევე, მათი სტატუსის განსაზღვრისა და სახელფასო სისტემის შემუშავების საკითხებზე მუშაობაში. შეიძლება ითქვას, რომ სამუშაო დამაგვირგვინებელ ფაზაშია, ბოლო შტრიხები და ცვლილებები შედის რეგულაციებში, იმ პროექტებში, რომლებიც შემდეგ პროფესიულ საბჭოს უნდა წარედგინოს. მუშაობა ძალიან ნაყოფიერად მიდის და დოკუმენტი, რომელიც პირველადი სახით ზაფხულში გვქონდა, საგრძნობლად განვითარდა და დაიხვეწა. შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს ხანებში მივაღწევთ შეთანხმებას. პირადად მე, მუშაობაში ჩართული ვარ პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა სახელფასო სისტემის შექმნის მიმართულებით და ვფიქრობ, ძალიან დაგვეხმარა ჩვენი უცხოელი კოლეგების მიერ შემოთავაზებული იდეები, რჩევები, ანალიზი ევროპის ქვეყნებში არსებული გამოცდილებისა. ამას მიეშველა ადგილობრივი გამოცდილება კოლეგებისა სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლიდან, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებიდან, გაეროს წარმომადგენლობიდან და ვფიქრობ, საერთო ჯამში, ერთობლივად მივაღწევთ იმას, რომ პროფესიული სასწავლებლების, კოლეჯების მასწავლებლებს ექნებათ მოტივაცია, ჩაერთონ ამ სფეროში, დაინტერესდნენ გრძელვადიანი თანამშრომლობით, განვითარდნენ პროფესიულად, კარიერულად და მიიღონ ღირსეული ანაზღაურება, სამართლიანი სამუშაო გარემო და შრომის პირობები.“*



**ოლივერ დიზი**, პროექტის საერთაშორისო ექსპერტი: *„ევროკავშირის პროექტი, რომელიც მიმართულია პროფესიული განათლებისა და დასაქმების მხარდაჭერაზე საქართველოში, ამჟამად ასრულებს სხვადასხვა მიმართულების რეგულაციებზე მუშაობას. მე უშუალოდ პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების ანაზღაურების საკითხზე ვმუშაობ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სავარაუდოდ, ამ რეგულაციასა და მის შემადგენელ ბრძანებებს მალე წარვუდგენთ პროფესიული განათლების საბჭოს, რათა მან განიხილოს ეს დოკუმენტები და შემდეგ პარლამენტსა და მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლად.“*

# გზა დაულოცეს




შარშანდელ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდები მსოფლიოს სასკოლო ოლიმპიადებზე გაემგზავრნენ სხვადასხვა ქვეყნებში. ამ რანგის შეჯიბრებებში საქართველო წარმოდგენილი იქნება სპორტის 4 სახეობაში: მაგიდის ჩოგბურთი, ფუტზალი, სირბილი (კროსი) და 3X3 კალათბურთში.

მაგიდის ჩოგბურთში, შიდა სასკოლო ოლიმპიადაში, გოგონებში თბილისის 199-ე საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა, ვაჟებში – ასევე დედაქალაქის 90-ე საჯარო სკოლის გუნდმა. ისინი მსოფლიოს სასკოლო ოლიმპიადაზე ისრაელში გამოვლენ. ფუტზალში ანალოგიური უფლება თბილისის 149-ე საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა, რომელმაც გეზი ხორვატიისკენ აიღო. კროსში მხოლოდ დედაქალაქის 120-ე საჯარო სკოლა იქნება წარმოდგენილი – გოგონებშიც და ბიჭებშიც, რადგან მათ შიდა ოლიმპიადაზე გაიმარჯვეს. რეგიონების სკოლები მხოლოდ ქუჩის კალათბურთში იქნებიან წარმოდგენილი – გოგონებში ეს უფლება ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლამ მოიპოვა, ვაჟებში კი – ქუთაისის მე-3 საჯარო სკოლამ. ისინი ესტონეთში ითამაშებენ.

ამ გუნდებს თბილისიდან გაცილების საზეიმო ცერემონიალი მოუწყვეს – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს, სადაც მათ მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი,** მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კიკალიშვილი** და სხვა მაღალჩინოსნები შეხვდნენ. ტურნირებზე საასპარეზოდ საქართველოს სახელმწიფო დროშები გადასცეს და წარმატებები უსურვეს.

ამ გუნდების მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაზე გამგზავრება იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია საერთაშორისო სასკოლო სპორტის ფედერაციის – ISF-ის წევრია. სასკოლო ოლიმპიადების ჩატარების ტრადიციას სათავე შარშან დაედო. ამდენად, ჩვენი სკოლებიც პირველად მონაწილეობენ მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადებში.

# ამხანაგური მატჩი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში და საქართველოს ფუტზალის ასოციაციასთან თანამშრომლობით, საინტერესო შეხვედრა გაიმართა სპორტკომპლექს „არენაზე“ – ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები სამტრედიის მე-15 საჯარო სკოლის აღსაზრდელებს შეხვდნენ.

სამინისტროს ინკლუზიური განათლების აღნიშნული პროგრამის მიზანია საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა. ამ ფარგლებში, ქვეპროგრამის საქმიანობა მოიცავს იმ საჯარო სკოლებს, სადაც ცხოვრობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (მათ შორის, არაქართულ გარემოში ჩასახლებული დევნილი, ლინგვისტური პრობლემების მქონე, მოხეტიალე და მომთაბარე პოპულაციის, რეპატრიანტი და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე მესხი) მოზარდები. ამ კატეგორიაში შედიან სამტრედიის მე-15 საჯარო სკოლის ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოზარდებიც, აღნიშნული პროგრამა მათ სოციალიზაციაში ეხმარება. ქვეპროგრამის პროექტები ხელს უწყობს ბენეფიციარების ადგილობრივ თანატოლებთან დაახლოებას, მათ შორის საერთო ინტერესების გამონახვას. სამომავლოდ აღნიშნული პროგრამების გატარება დაგეგმილია მესხი, ბოშა და პანკისის ხეობის მუსლიმი მოზარდებისთვის.

საფეხბურთო ამხანაგურ შეხვედრაში, ვეტერანთაგან, მონაწილეობდნენ: **ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი დემეტრაძე, გიორგი ნემსაძე, ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი გახოკიძე, დავით სირაძე** და სხვები. მონაწილეებს საპატიო სიგელები გადაეცათ.



# სასკოლო ოლიმპიადის სტარტი

დაიწყო „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2016“, რომელმაც შარშანაც დიდი ინტერესი გამოიწვია, წლეულს კი ეს აჟიოტაჟი უფრო გაიზარდა და ამჯერად მასში მონაწილეობას 1200 სკოლის 5 000-ზე მეტი მოსწავლე მიიღებს, უკლებლივ ყველა რეგიონიდან.

სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების გუნდები. მისი ინიციატორი მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციაა, ღონისძიება კი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით ტარდება. თუმცა, წმინდა საშეჯიბრო საკითხების მოგვარებაში აქტიურად მონაწილეობენ სპორტის იმ სახეობების შესაბამისი ეროვნული ფედერაციები, რომელშიც შეჯიბრება ტარდება: აგზავნიან მსაჯებს, ეხმარებიან ინვენტარით, საშეჯიბრო ბაზის მოწყობით და სხვ. ამ სახეობებში ასპარეზობებიც საერთაშორისო ფედერაციების მიერ დადგენილი წესებით ტარდება.

წლეულს გაიზარდა სასკოლო ოლიმპიადის პროგრამაც, რომელიც უკვე 9 სახეობამდე ავიდა. ამათგან მხოლოდ ერთია ისეთი, სადაც მარტო ბიჭები ასპარეზობენ: მინი-ფეხბურთი, დანარჩენ რვაში კი გოგონებიც იქნებიან, ოღონდ, ცხადია, მათთვის და ბიჭებისთვის შეჯიბრებები ცალ-ცალკე ჩატარდება. ეს სახეობებია: კალათბურთი (3X3), მაგიდის ჩოგბურთი, კროსი, ხელბურთი, ფრენბურთი, ბადმინტონი, მოძრავი თამაშები – მხიარული სტარტები და სპორტულ-შემეცნებითი ოლიმპიადა.

პირველ ეტაპზე, შეჯიბრებები რეგიონული პრინციპით ეწყობა – ჯერ ტარდება მუნიციპალური, რეგიონული ან ზონალური შეჯიბრებები, გამარჯვებულები კი გადიან ფინალურ ეტაპზე, რომელსაც, შარშანდელის მსგავსად, წლეულსაც ანაკლია უმასპინძლებს. ოლიმპიადაც დაყოფილია ოთხ ეტაპად: თავდაპირველად ტარდება **შიდა სასკოლო ტურნირები** სკოლის ნაკრებების დასაკომპლექტებლად. შემდეგ **მუნიციპალური შეჯიბრებები**, სადაც გამოვლინდებიან **რეგიონული ტურნირების** მონაწილენი, გამარჯვებულები კი ივნისში მეოთხე ეტაპზე – **ფინალურ თამაშებზე** გაემგზავრებიან ანაკლიის მომავლის ბანაკში. ცხადია, ცალკეულ სახეობებში გამარჯვებული სკოლების გუნდები გაისადაც გაემგზავრებიან საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადებზე.

სასკოლო ოლიმპიადამ უკვე აიღო სტარტი – შეჯიბრებები ჩატარდა გორში, მარნეულში, ჩოხატაურში, ზუგდიდსა და კიდევ რამდენიმე ქალაქში.

# ტრიუმვირატი მაგიდის ჩოგბურთში

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით და ქალაქ თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო თბილისის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელსაც სპორტის ახალაღდგენილი სასწავლო უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი მასპინძლობს. მერიის გარდა, კეთილი ნება გამოიჩინა თავად უნივერსიტეტის რექტორატმა, რომელმაც ამ შეჯიბრებას დარბაზი დაუთმო. ჩატარებაში, ასევე, აქტიურად მონაწილეობს მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია, რომელმაც ინვენტარით და მსაჯებით უზრუნველყოფა ითავა. სამწუხაროდ, სასკოლო სპორტის ფედერაცია სპორტის ცალკეულ სახეობათა ეროვნული ფედერაციებისგან ყოველთვის როდი აწყდება ასეთ თანამშრომლობას.

ახლანდელ ტურნირში დედაქალაქის 52 კერძო თუ საჯარო სკოლა მონაწილეობს, გუნდები კი, წინა წლების მსგავსად, ინტეგრირებული პრინციპითაა დაკომპლექტებული, წარმოდგენილია მოსწავლე-მშობელი-მასწავლებლის სამკუთხედი. თითოეულ გუნდში 6-6 მონაწილეა: 2 ვაჟი, ამდენივე გოგონა და თითო მასწავლებელი და მშობელი. ეს იმისთვის კეთდება, რომ ზემოხსენებული სამი კომპონენტი, რაც შეიძლება, დაუახლოვდეს ერთმანეთს. ტურნირის ფინიში სპორტის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

აპრილის თვეშივე სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია კიდევ ერთ ფართომასშტაბიან სასკოლო შეჯიბრებას გეგმავს, ამჯერად – ფუტზალში.

# წარმატება ათენში

ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა, ამ უქმეებზე, დიდი წარმატებით იასპარეზა ათენში ჩატარებულ „ევროპის ახალგაზრდულ თასზე“, სადაც 20 მედალი და საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა. აქედან მხოლოდ ერთი ბრინჯაოა გოგონების მონაგარი – პრიზიორი **ელისო სისაური** (70) გახდა, დანარჩენები კი ბიჭებმა მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ მძიმე წონაში კვარცხლბეკის ოთხივე საფეხურზე მხოლოდ ქართველები იდგნენ, ხოლო 81-სა და 100-ში სამ-სამი მედალოსნით ვიყავით წარმოდგენილი, ზედა სამ წონაში კი – 90, 100 და +100 – ქართული ფინალები გაიმართა. ისიც საინტერესოა, რომ რვიდან არც ერთი წონა არ დაგვიტოვებია უმედლოდ. არადა, არც ტურნირს ეთქმოდა სუსტი. მართალია, იაპონია-კორეის მსგავსი ლიდერები არ გამოდიოდნენ, მაგრამ 300-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა მსოფლიოს 22 ქვეყნიდან.

ბიჭების 19 მედლიდან 4 ოქროა, 6 – ვერცხლი და 9 – ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: **რობინზონ ბეგლარაშვილი** (60), **ონისე სანებლიძე** (90), **ჯაბა მუმლაძე** (100) და **ნიკოლოზ სისვაძე** (+100); ფინალურ შეხვედრებში დამარცხდნენ: **ბექა უდესიანი** (66), **გიორგი ხმელიძე** (73), **კობა მჭედლიშვილი** (81), **იესო კვირიკაშვილი** (90), **დავით ოზბეთელაშვილი** (100) და **გურამ ქოსმენაშვილი** (+100); კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კი ავიდნენ: **დავით გეჯაძე, ზურაბ კახნიაშვილი** (ორივე – 55), **ივერი წასიძე** (66), **ტატო ტატულაშვილი** (73), **გიორგი ქურდიანი, ტრისტან მოსახლიშვილი** (ორივე – 81), **ზაურ კენჭაძე** (100), **საბა გაბრიჩიძე** და **გელა ზაალიშვილი** (ორივე – +100). ბრინჯაოს მოპოვების შანსი კიდევ 6 ქართველს ჰქონდა, მაგრამ დამარცხდნენ და მეხუთეზე დარჩნენ, თუმცა 5 მათგანს ბრინჯაოსთვის შეხვედრა ისევ ქართველებმა მოუგეს. არადა, ჩვენს გუნდს ოთხი ლიდერი აკლდა – შარშანდელი ევროპისა და მსოფლიოს მედალოსნები, რომლებსაც მწვრთნელები საგანგებო გრაფიკით ამზადებენ და ოდნავ მოგვიანებით ჩართავენ შეჯიბრებებში.

მედალოსანთაგან რამდენიმე – კახნიაშვილი, ბეგლარაშვილი, სანებლიძე, გაბრიჩიძე, ზაალიშვილი – ჯერ ისევ ჭაბუკთა ნაკრების წევრია, რამდენიმე კი წლეულს გადმოვიდა ახალგაზრდებში, თუმცა მწვრთნელებმა გამოცდილების მისაღებად მაინც წაიყვანეს უფროსებში და მათაც გაამართლეს იმედები.



რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

# წიგნის თარო — მიმდინარეობს ხელმოწერა

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა




პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

**ფასი – 7,30 ლარი**



**თამაზ ვასაძე**
**ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის**
4 ლარი

## თემატური პლაკატები

### დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

### მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

**მითითებულია ერთი ცალის ფასი**






წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი



*სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში*

10 ლარი

## საყმაწვილო ენციკლოპედია

*თითო ტომის ფასი – 12 ლარი*

**რა არის რა**

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ციხესიმაგრეები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი




**აქცია**

**გთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.**

**თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებთ.**


ამინდი


არქიტექტურა


კრიმინალისტიკა


ჯანსაღი კვება


მთები


ოლიმპიური თამაშები


მეკობრეები


ქიმია


ხალხთა დიდი გადასახლება


მეცნიერებები

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

### მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

### რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი, ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა, დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი, გუსტავ კლიმტი
4. მენინები, დიეგოველასკესი
5. დელფოსელი სიბილა, მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი, კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება, რემბრანდტი
8. საქანელა, ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე, ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

## მსოფლიო კლასიკოსები

**მკვდარი სახლის ჩანაწერები,** თეოდორე დოსტოევსკი
**ცოლთა სკოლა,** ანდრე ჟიდი
**გზა ელიტისკენ,** ჯონ ბრეინი
**რჩეული მოთხრობები,** ნიკოლოზ გოგოლი
**ტალღებზე მორბენალი,** ალექსანდრე გრინი
**ტკბობა,** გაბრიელე დანუნციო
**დედაჩემი,** ალბერ კოენი
**კავკასია,** ალექსანდრე დიუმა
**დონ კიხოტის დაბრუნება,** გილბერტ კით ჩესტერტონი
**დროის ინსტიტუტი,** აჰმედ ჰამდი ტანპინარი
**ეფი ბრისტი,** თეოდორ ფონტანე
**ილელი ვენერა,** პროსპერ მერიმე
**კავკასიური მოთხრობები,** ლევ ტოლსტოი
**კვარტერონი,** მაინ რიდი
**ლორდი ჯიმი,** ჯოზეფ კონრადი
**მადამ ბოვარი,** გუსტავ ფლობერი
**სპარსული წერილები,** შარლ ლუი დე მონტესკიე
**მოუთმენლობა გულისა,** შტეფან ცვაიგი
**მოწყენილობა,** ალბერტო მორავია
**ორი რომანი,** მიგელ დელიბესი
**პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი,** ვიქტორ ჰიუგო
**მოთხრობები,** ალექსანდრე პუშკინი
**რჩეული მოთხრობები,** ჯონ გოლზუორთი
**სატანის ელექსირები,** ერნსტ ჰოფმანი
**საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან,** მარგერიტ დიურასი
**ქალთა ბედნიერება,** ემილ ზოლა
**ღამეული გართობა,** რაფაელ საბატინი
**წითელი და შავი,** სტენდალი
**ჭრელი საბურველი,** სომერსეტ მოემი
**ჯაშუში,** ჯეიმზ კუპერი
**ლიხტენშტაინი,** ვილჰელმ ჰაუფი
**ჰუსარი სახურავზე,** ჟან ჟიონო

**თითოეულის ფასი – 15 ლარი**

# ხელმომწერთა საყურადღებოდ!

## ქართული ენის კრებულები

სერიის ფასი – 17.70₾




ერთიანული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40₾




ნიგნის თარო

## მოემზადეთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. მადესაფსეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოემზადეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!

კრებულის ფასი – 9.90₾




ნიგნის თარო

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

### მასწავლებლის სამუშაო რვეული




**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

**4 ლარი**

### კათედრის გამგის პორტფოლიო




**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ერთიანული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

**6 ლარი**

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული




კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

**6 ლარი**

### მასწავლებლის კალენდარი




2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

**5,50 ლარი**

**შექენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023**

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK